პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი 22 დეკემბერი
№ 294 (17639)
ფასი 2 კაპ.

დამკვრელური შრომის რიტმი

⊙ **ბათუმი.** აჭარის მეციტრუსეებმა უკვე გადამეტებით შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება — 130 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 143.131 ტონა ციტრუსი; რაც შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 45.220 ტონით სჭარბობს.

მეციტრუსეთა გადაწყვეტილებაა წლეულს 170 ათასი ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი დაამზადონ. (საქ. კორ.).

⊙ **ვადაზე** ადრე შეასრულა წლიური გეგმა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის მეორე სამშენებლო სამმართველომ. მთიან სოფლებში კუმბრაში, მუხიანასა და ლენტეხში ექვსი სკოლა და საბავშვო ბაღი აშენდა. გეგმის გადაჭარბებით საძირკველი ჩაუყარეს [illegible] სასკოლო შენობას. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ბრიგადამ, რომელსაც შრომის წითელი დროშის ორდენოსანი გ. [illegible]ძე ხელმძღვანელობს, მემონტაჟემ ჭ. კოხრეიძემ, ელექტროშემდუღებელმა ლ. ბალანჩივაძემ, მეარმატურემ დ. ფიფლარიანმა.

⊙ **ტყიბულში** ყველაზე ახალგაზრდა შახტის აღმოსავლეთ-2-ის კოლექტივმა ვადაზე ოცი დღით ადრე შეასრულა ქვანახშირის მოპოვების წლიური გეგმა და მნიშვნელოვნად შეამცირა სათბობის თვითღირებულება.

წარმატება განაპირობა მექანიზაციის, მოწინავე გამოცდილების დანერგვამ, ახალი ტექნიკის გამოყენებამ. ყველა ხვეტია ტრანსპორტიორი გადაიყვანეს დისტანციურ ავტომატურ მართვაზე, ფართოდ გავრცელდა ქვანახშირის ფენების წყლით წინასწარი გაჯერების მეთოდი, რაც ხელს უშლის მავნე გაზების გამოყოფას. (საქინფორმი).

წლის დასრულებამდე დარჩა 10 დღე

● ●

[illegible]ული ცნობები

⊙ **ჭიათურა.** (საქ. კორ. ო. ნიკაბაძე). ერთი თვით ადრე შეასრულეს ხუთწლედის ოთხი წლის დავალება ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკების კოლექტივებმა. განვლილ პერიოდში მამდიდრებლებმა დაამზადეს 3.247.109 ტონა სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის — 722.723 ტონა მაღალი ხარისხის კონცენტრატი. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებამ, მომჭირნეობის რეჟიმის დანერგვისა და არსებული რეზერვების ამოქმედების შედეგად აქ 416 ათასი მანეთი დაზოგეს.

მაღაროელები ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. მოწინავეთა რიგებში არიან მანგანუმის მრეცხავები: ო. ფუჯაშვილი, გ. ყიფშიძე, მ. დარბაიძე, ჯ. მწყერაშვილი და სხვები. ახლა ისინი 1980 წლის ანგარიშში მუშაობენ.

⊙ **წითელწყარო.** (საქ. კორ. ვლ. მჭედლიშვილი). ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის კოლექტივმა (დირექტორი — გ. ბეგიაშვილი). მიმდინარე წლის დავალება ვადამდე შეასრულა. მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმას 10 პროცენტით გადააჭარბა, ხოლო რეალიზაციისას — 9 პროცენტით.

წლიური დავალების შესრულების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამკერვალო ფაბრიკის, ოლიფის ქარხნისა და სამშენებლო ბლოკების საამქროს კოლექტივებმა.

კომბინატის მუშაკებმა ივალდებულეს მომავალი წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის — 22 აპრილისათვის შეასრულონ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება

1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი თავიანთ დადგენილებაში აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ" დიდი აღმავლობით შეხვდნენ რესპუბლიკის მეცხოველეები, ფერმების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების მოწინავე კოლექტივები, რომლებიც ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომ 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში გაზრდიან მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას და აამაღლებენ დარგის პროდუქტიულობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალები და მოიწონეს ფერმების, ბრიგადების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) მოწინავე კოლექტივების ინიციატივა ჩაებან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის და გააჩაღონ რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება.

პარტიის საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს დაევალათ უზრუნველყონ პოლიტიკურ-ორგანიზაციული მუშაობის განხორციელება, რათა ფართოდ ჩააბან სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გააჩაღონ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, ფერმებისა და ბრიგადების კოლექტივების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის რესპუბლიკური შეჯიბრება პირუტყვის წარმატებით გამოზამთრებისათვის; ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და განავითარონ მეცხოველეთა შემოქმედებითი ინიციატივა ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდისათვის, საკვების ეფექტიანი გამოყენებისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებისა და სულადობის სრული შენარჩუნებისათვის.

შეჯიბრების გამარჯვებულებად ცნობენ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, რაიონებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და მეცხოველეობის ბრიგადებსა და ფერმებს, რომლებიც ორგანიზებულად გამოაზამთრებენ პირუტყვს, მიაღწევენ მაღალ მაჩვენებლებს ხორცის, რძისა და კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქციის წარმოების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, უზრუნველყოფენ ამ პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მატებას, პირუტყვის სულადობის ზრდას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად შეაჯამებენ მეცხოველეობის მუშაკთა შეჯიბრების შედეგებს 1980 წლის 1 ივლისის მდგომარეობის მიხედვით, ამასთან გაითვალისწინებენ 1979 წლის მე-4 კვარტალისა და 1980 წლის პირველი ნახევრის მაჩვენებლებს და თავიანთ წინადადებებს წარუდგენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას.

1979-1980 წლების ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ზრდისათვის სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების მასალებსა და წინადადებებს გამარჯვებულთა დაჯილდოების შესახებ ავტონომიური რესპუბლიკები, ოლქი, რაიონები 1980 წლის 5 ივლისამდე წარუდგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს.

გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაწესებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 25 საპატიო სიგელი.

— ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქებისათვის — 1 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 10 ათას მანეთამდე;

— რაიონებისათვის — 7 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 5 ათას მანეთამდე;

— კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებისათვის — 11 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 3 ათას მანეთამდე;

— საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის — 6 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 3 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისათვის — 1 საპატიო სიგელი და ფულადი პრემია 3 ათას მანეთამდე.

რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებს, (ორგანიზაციებს) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გამოყოფილი ფონდების დამატებით მიჰყიდის სატვირთო ავტომანქანას ან ავტობუსს. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დააწესა 80 სამახსოვრო ვიმპელი მეცხოველეობის საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებისა და მოწინავე მეცხოველეებისათვის; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროები და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტები 250 საპატიო დიპლომით, ფასიანი საჩუქრებით და სანატორიუმის უფასო საგზურებით დააჯილდოებენ მეცხოველეობის მოწინავეებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფერმებისა და მეცხოველეთა ბრიგადების კოლექტივებს.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით თავგამოჩენილ მეცხოველეებს რიგგარეშე მიჰყიდან 250 მსუბუქ ავტომობილს და 250 იმპორტულ ავეჯის გარნიტურს.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა ფართოდ და სისტემატურად უნდა გააშუქონ მეცხოველეობის მუშაკთა რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, ყოველმხრივ გაუწიონ პროპაგანდა წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას, ამხილონ არსებული ნაკლოვანებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფსაბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, რომლებმაც ფართოდ გააჩაღეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრება და აქტიურად ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ახალ წარმატებებს მოიპოვებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში. (საქინფორმი).

სურათებზე: თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრება. ვლ. გინზბურგის ფოტო.

ხალხის დიდი ნდობა

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საქართველოს სსრ

დამკვრელური, თავდადებული შრომით, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრებით აღნიშნავენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებას თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშები და მოსამსახურეები. აქ გამართულ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში დეპუტატობის კანდიდატების დასახელებას, გაისმოდა გულთბილი მადლობის სიტყვები კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისამართით იმ დაუღალავი ზრუნვისათვის, პარტია და მთავრობა რომ იჩენენ მშრომელი ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

კრება გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ი. ლომაძემ.

ლენინის ორდენოსანმა ხარატმა ტ. ვ. როსტიაშვილმა დამსწრეთა ტაშის გრიალში წამოაყენა წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 89 დიმიტროვის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. მოწინავე მუშამ ილაპარაკა დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრების გზაზე, მის ენერგიულ და თავდადებულ საქმიანობაზე რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე. მან თქვა, თუ რა დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე სკკპ ლენინური პოლიტიკის განხორციელებისათვის, აღნიშნა მისი უდიდესი წვლილი საქართველოს მშრომელთა მიღწევებში.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული გეგმები, განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა.

ტრიბუნაზეა ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დ. მ. ცქიტიშვილი. მან მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის კანდიდატურას და წინადადება წამოაყენა ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ აგრეთვე მოწინავე ზეინკალ-მქლონავი თევდორე მიხეილის ძე ბარიგინი.

ორატორმა დაახასიათა თ. მ. ბარიგინი როგორც ადამიანი, რომელსაც დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა აქვს მოპოვებული კოლექტივში. იგი სისტემატურად და გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. შრომის წითელი დროშის ორდენოსნის კალენდარზე მეთერთმეტე ხუთწლედი უკვე დაიწყო. თ. მ. ბარიგინი გულისხმიერი ამხანაგი, ახალგაზრდობის საუცხოო დამრიგებელი და აქტიური საზოგადო მოღვაწეა. იგი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანია და როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დიდ და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა.

ორივე კანდიდატურას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქარხნის დირექტორის მოადგილემ ვ. კ. კუდიუმოვმა, ზეინკალმა ვ. ა. გაგნიძემ, საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. ლორთქიფანიძემ, უფროსმა ოსტატმა მ. დ. შუბითიძემ, ზეინკალ-მეთუნუქემ რ. მ. შახნაზაროვმა.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის № 89 დიმიტროვის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე** და ზეინკალ-მქლონავი **თევდორე მიხეილის ძე ბარიგინი.** (საქინფორმი).

აზერბაიჯანის სსრ

დიდი აქტიურობის ვითარებაში ჩაიარა „არტემნავთობგაზის" ნავთობგაზმომპოვებელი სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებამ. კოლექტივის ერთსულოვანი აზრი გამოიხატა კრების დადგენილებაში: დაასახელონ აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად არტემოვსკის საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და ჭაბურღილების კაპიტალური რემონტის საამქროს ბურღვის ოსტატი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **გუსეინ იუსიფ ოღლი გუსეინოვი.**

სუმგაითის ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხნის მეტალურგებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სუმგაითის მშენებელთა საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** და წარჩინებული მეფოლადე **ალაჰვერდი ახად ოღლი სულეიმანოვი.**

ლიტვის სსრ

ვილნიუსის ვ. ი. ლენინის სახელობის საანგარიშო მანქანების ქარხნის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ანტაკალნის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და ქარხნის მღარავი, სოციალისტური შრომის გმირი **პრანას ანტონის ძე სვილაინისი.**

კაუნასის აბრეშუმის ქსოვილების ფაბრიკის „კაუნო აუდინიაის" მუშაკებმა თავიანთ კრებაზე დაადგინეს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე კოსიგინი** და ფაბრიკის მქსოველი, სოციალისტური შრომის გმირი **ელენე ცეზარის ასული მარკაიტიენე.**

მოლდავეთის სსრ

კიშინიოვის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „ტალდის" წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა დაადგინეს მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიმიტროვის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და ამ საწარმოო გაერთიანების ქარხანა „ელექტროხუსტხელსაწყოს" ზეინკალთა ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი **ივანე თევდორეს ძე ბოტეზატი.**

(დასასრული მე-2 გვ.).

ამთავითვე ვიზრუნოთ

22-23 დეკემბერს ვენახების, ხეხილის ბაღებისა და სუბტროპიკული კულტურების რესპუბლიკური დათვალიერება

დათვალიერების მიზანია შეამოწმდეს ბაღ-ვენახებსა და ციტრუსის პლანტაციებში შემოდგომა-ზამთარში შესასრულებელ სამუშაოთა მიმდინარეობა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სიმეჩხრის და მოზამთრე მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, მწკრივთშორისებსა და მწკრივებში ნიადაგის დამუშავების ხარისხს, ბაღ-ვენახების და ციტრუსების ყინვისაგან დაცვის ღონისძიებებს. მომავალი წლის მოსავლისათვის ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ.

ომის ვეტერანთა წერილის გადაცემა

20 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის, არმიის გენერალ პ. ი. ბატოვის მეთაურობით. დელეგაციამ გადასცა „წერილი მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებსა და ხალხებს", რომელიც მიიღეს განიარაღებისათვის ომის ვეტერანთა მსოფლიო შეხვედრაზე რომში 20 ოქტომბერს.

წერილში მეორე მსოფლიო ომისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების მილიონობით ვეტერანის, ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილი მებრძოლების სახელით ხაზგასმულია, რომ საჭიროა ქმედითი ღონისძიებები განხორციელდეს მშვიდობის საქმისათვის საშიში გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, დაგმობილია ერთი ქვეყნის მეორეზე ბატონობის ყოველგვარი ცდა, გამოთქმულია მზადყოფნა მხარი დაუჭირონ ყველა ინიციატივას, რომელთა მიზანია განიარაღება. დოკუმენტი მიესალმება ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, ხალხთა შორის ურთიერთნდობის მიღწევა.

ნ. ა. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ ლენინური კურსის ერთგული საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის განმტკიცება, პოლიტიკური დაძაბულობის შენელებასთან ერთად სამხედრო დაძაბულობის შენელება. ამას მოწმობს საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა 6 ოქტომბერს ბერლინში წარმოთქმულ სიტყვაში.

ნ. ა. ტიხონოვმა გამოთქვა რწმენა, რომ ომის ვეტერანები მომავალშიც აქტიურად იბრძოლებენ დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის მტრების ხრიკების წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის. (საქტასი).

დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა

21 დეკემბერს მოსკოვიდან ლენინგრადს გაემგზავრა ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარის, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ჟოზე ედუარდო დუშ სანტუშის მეთაურობით. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად არის ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით. აეროდრომზე ჟ. ე. დუშ სანტუშს, დელეგაციის წევრებს გასაცილებლად მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

ლენინგრადის აეროპორტში ჟ. ე. დუშ სანტუშს, დელეგაციის წევრებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. რომანოვი, სხვა ოფიციალური პირნი. (საქტასი).

ენერგეტიკოსის დღის აღსანიშნავად

საზეიმო კრება თბილისში

საქართველოს ენერგეტიკოსებმა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ ვ. ი. ლენინის ანდერძს ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. 1927 წელს ზაჰესის პირველი რიგის 3-5 მილიონი კილოვატსაათიდან 13 მილიონ კილოვატსაათამდე, რაც წელს რესპუბლიკის მძლავრმა ენერგოსისტემამ გამოიმუშავა, — ასეთია მათ მიერ განვლილი გზა.

ამაზე ილაპარაკეს ენერგეტიკოსის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებმა. 20 დეკემბერს თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ საქმთავარენერგოს, ელექტროსადგურების, ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამშენებლო ორგანიზაციების მუშები და ინჟინრები.

კრება გახსნა ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ჩოხელმა.

მოხსენება გააკეთა საქმთავარენერგოს უფროსმა ი. ჰიდიამ.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ბ. ბარსუკოვი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხაზარაძე. (საქინფორმი).

გორი, 21 დეკემბერი...

სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო, შრომითი ტრადიციების ქალაქი გორი, რომელსაც ლენინური პარტიის არაერთი ნაცადი მებრძოლი აღუზრდია, 21 დეკემბერს ი. ბ. სტალინის დაბადების მე-100 წლისთავს აღნიშნავდა.

ხალხმრავლობა იყო სახლთან, სადაც იგი დაიბადა, მოედანზე, სადაც ი. ბ. სტალინის სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს, მარადიულ ცეცხლთან, გორის საბრძოლო დიდების მუზეუმის წინ რომ გიზგიზებს, წერეთლის ქუჩაზე სახლთან, სადაც გაიარა კამოს (ს. ტერ-პეტროსიანის) ბავშვობისა და ყრმობის წლებმა, გორის რაიონის სოფელ ტყვიავში, ლადო კეცხოველის სახლ-მუზეუმთან, სხვა ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის, დიდი სამამულო ომის გმირთა სახელებთან.

ქალაქისა და რაიონის მოწინავე ადამიანები გულითადად ხვდებოდნენ რესპუბლიკის რაიონებიდან ჩამოსულ მშრომელთა წარმომადგენლებს, აცნობდნენ მათ თავიანთ მიღწევებს, საუკეთესო საწარმოებსა და მეურნეობებს, ისტორიულ-რევოლუციურ ღირსშესანიშნაობებს. გორში ჩამოსულთა შორის იყვნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მცირემიწელ მეომართა ჯგუფი.

ძველთაძველი გორის ციხის ბასტიონები ამფითეატრი გახდა ათასობით ადამიანისათვის, რომლებიც შეიკრიბნენ რესპუბლიკის პროფესიონალი და თვითმოქმედი კოლექტივების დიდ კონცერტზე, გამარჯვების მემორიალთან, ღია ესტრადაზე რომ გაიმართა. ბავშვთა სასულე ორკესტრები მონაწილეობდნენ რევოლუციური მარშებისა და სიმღერების საუკეთესო შემსრულებელთა დათვალიერებაში, ხოლო სპორტის სასახლეში მიმდინარეობდა რესპუბლიკის ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში.

პედაგოგიური ინსტიტუტის, პიონერთა სასახლის, ქალაქის კინოთეატრების დარბაზებმა შეკრიბეს დიდი აუდიტორია, რომლის წინაშე გამოდიოდნენ ლექტორები, სტუდენტთა და ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები. თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა გორელებსა და მათ სტუმრებს უჩვენეს თავიანთი სპექტაკლი „კავკასიური ცარცის წრე". სტუმრებისა და რაიონის მშრომელთა შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ატენში, უფლისციხეში, ქარიანსა და სხვა სოფლებში, იმ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი შესანიშნავი თანამემამულეების ი. გოგებაშვილის, ნ. ლომოურის, თ. რაზიკაშვილის, ა. ერისთავ-ხოშტარიას ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

21 დეკემბერს გორში ჩავიდნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ტ. ი. მოსაშვილი, ჟ. კ. შარტავა. მათ გვირგვინით შეამკეს ი. ბ. სტალინის ძეგლი, ეწვივნენ გორის საბრძოლო დიდების მუზეუმს, სადაც ასევე გვირგვინი მიიტანეს იმ ოთხი ათასი გორელის ხსოვნის მარადიულ ცეცხლთან, დიდი სამამულო ომის ფრონტებიდან რომ ვერ დაბრუნდნენ, გაეცნენ ი. ბ. სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის ახალ ექსპოზიციას, იყვნენ სახლში, სადაც ცხოვრობდა კამო, ლადო კეცხოველის ტყვიავის სახლ-მუზეუმში, დაათვალიერეს გორის გამარჯვების მემორიალი.

მშრომელები გულითადად მიესალმნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და უამბეს, თუ როგორ ამრავლებენ ქალაქ გორისა და მისი რაიონის სახელოვან ტრადიციებს, გააცნეს წარმატებანი, რომლებსაც აქ მიაღწიეს მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. (საქინფორმი).

1980 24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღე

ხალხის დიდი ნდობა

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

(დასასრული)

ტირასპოლის სამშენებლო ტრესტის № 28 სამშენებლო სამმართველოს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად სვერდლოვის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკო** და სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **დიმიტრი ვლადიმერის ძე კრეცული**.

ლატვიის სსრ

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა რიგის ქარხანა „ავტოელექტროხელსაწყოში“. კრების მონაწილეებმა ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად № 82 რიგის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და შიგმჩარხავი ხარატი სოციალისტური შრომის გმირი **არნის ფრიდრიხის ძე კარკლინი**.

რიგის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანების „სარკანაის რიტსის“ კოლექტივის კრებაზე ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად № 20 რიგის საარჩევნო ოლქში დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **არვიდ იანის ძე პელშე** და საწარმოს ოსტატის თანაშემწე სოციალისტური შრომის გმირი **ბრონისლავა ედუარდის ასული ვიიგული**.

ყირგიზეთის სსრ

ფრუნზეს კამვოლ-მაუდის კომბინატში წინასაარჩევნო კრებაზე დაადგინეს ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და წარჩინებული მრთველი **ნადეჟდა სერგის ასული ლავსკაია**.

სუზაკის რაიონის ბარპის სახელობის კოლმეურნეობაში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე ყირგიზეთის სსრ ბარპის საარჩევნო ოლქში ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **დიმიტრი თევდორეს ძე უსტინოვი** და მეურნეობის წარჩინებული მწყემსი **დანიარ ჩოიბეკოვი**.

ტაჯიკეთის სსრ

ქარხანა „ტაჯიკტექსტილმანქანაში“ გაიმართა მანქანათმშენებელთა წინასაარჩევნო კრება, რომლის მონაწილეებმა დაადგინეს ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად კომუნისტთა საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და მეავტომატე ხარატი **მირზოხამიდ ხამიდოვი**.

სომხეთის სსრ

საწარმოო გაერთიანების „ნაირიტის“ კოლექტივმა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ჩეხოვის საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და უფროსი მეაპარატე **ვაჩიკ ალექსანის ძე აზიზიანი**.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ლენინაკანის სამჭედლო-საწნეხი მოწყობილობის ქარხანაში. აქ მიიღეს დადგენილება: დაასახელონ სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მუსაელიანის საარჩევნო ოლქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ანდრია ანდრიას ძე გრომიკო** და ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადირი **მიშა აშოტის ძე ტოროსიანი**.

თურქმენეთის სსრ

აშხაბადის ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ბამბეულის კომბინატში გაიმართა კოლექტივის წინასაარჩევნო კრება. კრებამ ერთხმად დაადგინა თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ბოროდინის საარჩევნო ოლქში დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და კომბინატის მქსოველი სოციალისტური შრომის გმირი **ენე მიალიკულის ასული ოვეზოვა**.

ესტონეთის სსრ

ტალინის მ. ი. კალინინის სახელობის ელექტროტექნიკური ქარხნის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ტალინის ხარკუს საარჩევნო ოლქში დაასახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი** და საწარმოს მემონტაჟე **ენა სიმსონის ძე ეხალი**.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ვილიანდის რაიონის კოლმეურნეობა „სუისლეპაში“. აქ ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მუსტლის საარჩევნო ოლქში გადაწყვიტეს დაასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი** და მოწინავე ტრაქტორისტი **ელე იოჰანესის ასული მიუიური**.

* * *

კრებებზე აირჩიეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი და საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე წარსადგენი წარმომადგენლები, რომლებსაც დაევალათ მხარი დაუჭირონ დასახელებულ კანდიდატურებს. (საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ენერგეტიკის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის და ენერგეტიკოსის დღესთან დაკავშირებით რესპუბლიკის ამ დარგის მუშაკთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

დარგის მუშაკთა ჯგუფებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსის“, „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებები. (საქინფორმი).

22 დეკემბერი — ენერგეტიკოსის დღე

ღირსეულად ხვდებიან საბჭოთა ენერგეტიკოსები ტრადიციულ დღესასწაულს. გაისად, 22 დეკემბერს, 60 წელი შესრულდება იმ დღიდან, როდესაც სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შემუშავებული „გოელროს“ გეგმა. ისტორიისათვის ამ მოკლე დროის მანძილზე საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული მეთაურობით მსოფლიოში უძლავრესი ენერგეტიკული ბაზა შექმნა. ამან კი ხელი შეუწყო ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის არნახულ აღმავლობას, ღრმა სოციალურ გარდაქმნებს.

შარშან საბჭოთა კავშირში გამომუშავებული იყო ტრილიონ ორას ორი მილიარდი კილოვატსაათი ენერგია — მეტი, ვიდრე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და ავსტრიაში ერთად.

ენერგეტიკა ძირითადად ვითარდება ჰიდროელექტროენერგოსადგურების მშენებლობის შედეგად, რომლებიც საშუალებას გვაძლევს კომპლექსურად გადავჭრათ ელექტროენერგიის გამომუშავების, რწყვის, მრეწველობისა და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის, თევზჭერისა და ნაოსნობის და სხვა საკითხები.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე განვითარება დაიწყო ელექტროენერგეტიკის ახალმა მიმართულებამ — ატომურმა ენერგეტიკამ. დღეისათვის ჩვენი ქვეყნის ატომური ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე მილიონობით კილოვატს შეადგენს.

გრანდიოზული ძვრები მოხდა ენერგეტიკის განვითარების მხრივ საბჭოთა საქართველოშიც. ამის შესახებ „საქმთავარენერგოს“ უფროსი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი **ი. ჟედია** ესაუბრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს **შ. ამაშუკელს:**

დიადი აღმავლობის წლები

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ საქართველოში „გოელროს“ გეგმით საბჭოთა კავშირში ურთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგური — ზაჰესი აშენდა. აქედან იწყება რესპუბლიკის ენერგოსისტემის შეუნელებელი წინსვლა. „ზაჰესისა“ და „რიონჰესის“ მშენებლობიდან მოყოლებული დღემდე აქ აღიზარდა ენერგეტიკოსთა, მშენებელთა და მემონტაჟეთა მაღალკვალიფიციური კადრები. მათ მხრებზე გადაიარა ძირითადად ხრამჰესის, ჭითახევჰესის, ტყვარჩელჰესის, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ვარციხჰესის, ენგურჰესის და სხვა ელექტროსადგურების მშენებლობასთან და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულმა მრავალმა სიძნელემ. მათ უზრუნველყვეს საქართველოს ელექტროენერგეტიკის მაღალი დონე.

დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკის ენერგოსისტემის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ენგურჰესი. სულ რამდენიმე დღის წინათ აქ მწყობრში ჩადგა რიგით მეოთხე აგრეგატი და ამით ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრემ მილიონ ორმოცი ათას კილოვატს მიაღწია. გაისად, როცა საექსპლოატაციოდ მეხუთე აგრეგატი გადაეცემა, ენერგეტიკული გიგანტის სიმძლავრე 1.300 ათას კილოვატამდი გაიზრდება, ეს კი 35-ჯერ აღემატება ჩვენი პირველი „მერცხლის“ — ზაჰესის სიმძლავრეს.

ამჟამად საქართველოში ენერგეტიკული სისტემა 72 ელექტროსადგურს აერთიანებს, ხოლო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების სიგრძე კი 80 ათას კილომეტრს სჭარბობს. ენგურჰესთან ერთად რესპუბლიკის ენერგოსისტემის სიამაყეა 1.250 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური.

დღეს საქართველოში ელექტრიფიცირებულია ყველა დასახლებული პუნქტი. გამონაკლისია სულ რამდენიმე ძნელად მისასვლელი მთის, ნაკლებად დასახლებული სოფელი, რომელთა ელექტროენერგიით მომარაგების საკითხი უახლოეს დროში გადაიჭრება.

ელექტროსადგურების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული, ყველა მსხვილი და საშუალო ელექტროსადგური, აგრეთვე ქვესადგური აღჭურვილია ავტომატიკის მოწყობილობით. კომპლექსური ავტომატიზაციისა და ტელემექანიზაციის დანერგვის შემდეგ ზოგიერთი ელექტროსადგური მუდმივი მორიგე მომსახურე პერსონალის გარეშე მუშაობს, „საქმთავარენერგოში“ შექმნილია მართვის ავტომატიზებული სისტემის პირველი რიგის გამოთვლითი ცენტრი.

ჩვენში განუწყვეტლივ იზრდება ელექტროენერგიის მოხმარების დონე და ეს ბუნებრივია. ეკონომიკის ასეთი მძლავრი აღმავლობა წარმოუდგენელია უსათბობოდ. ამიტომ რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის შემდგომი გაძლიერება კვლავ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია. მალე მწყობრში უნდა ჩადგეს ენგურჰესის მეხუთე აგრეგატი, ჟინვალჰესის 130 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ოთხი აგრეგატი, ვარციხჰესის კასკადის 88 ათასი კილოვატი სიმძლავრის კიდევ ოთხი აგრეგატი, ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის აგრეგატი. დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე 740 ათას კილოვატს მიაღწევს.

წლეულს ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მოიწიეს ჩაის, ყურძნის, კარტოფილის, ციტრუსისა და სხვა პროდუქტების არნახული მოსავალი. ეს დიდი გამარჯვება კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, საქართველოს ყველა მშრომელს მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ მიღწევებში ენერგეტიკოსებმაც შეიტანეს თავისი წვლილი. მათ ყველაფერი იღონეს, რათა უზრუნველეყოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ენერგიით შეუფერხებელი მომარაგება.

როგორც ცნობილია, შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა. მის განსახორციელებლად ძალიან ბევრი რამ უნდა ვიღონოთ ჩვენც, ენერგეტიკოსებმაც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე თავის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო სათბობისა და ენერგეტიკის საკითხებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ რა ტემპითაც უნდა განვავითაროთ ენერგეტიკა, სათბობისა და ენერგიის დაზოგვა მუდამ უმნიშვნელოვანესი საერთო-სახელმწიფო ამოცანა იქნება. ამიტომ გეგმებით უნდა გავითვალისწინოთ მოძველებული, მეტისმეტად ენერგოტევადი მოწყობილობის შეცვლის, ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ენერგოდაზოგვის ტექნოლოგიის ფართო გამოყენების, სამრეწველო ნაგებობათა და საცხოვრებელ შენობათა თბომედეგობის ამაღლების მზარდი დავალებანი, სათბობისა და ენერგიის დაზოგვას უნდა ცდილობდეს თითოეული კოლექტივი, თითოეული მშრომელი.

სულ რამდენიმე დღეც, და საბჭოთა ხალხი შეხვდება ახალ, 1980 წელს, დამკვრელური შრომისა და მომავალი მეთერთმეტე ხუთწლედის საბაზისო წელს. ქართველი ენერგეტიკოსები სახალხო მეურნეობის სხვა დარგის მუშაკებთან ერთად ყველაფერს იღონებენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ დიდი ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს და სკკპ XXVI ყრილობას.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს

21 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლა-შრომის პარტიის ურთიერთობის 1980 წლის გეგმას ხელი მოაწერეს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა აფონსუ ვან-დუნენმა.

ხელი მოაწერეს აგრეთვე სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ოქმს 1980 წლისათვის. მას ხელი მოაწერეს: სსრ კავშირის მთავრობის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა; ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით — მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სახელმწიფო მდივანმა კულტურის საკითხებში ანტონინუ ჟასინტუმ.

სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო მდივანმა თანამშრომლობის საკითხებში ადოლფუ ნსიკალანგუმ.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. უ. ჩერნენკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი:

ანგოლის მხრივ — მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ენრიკე ტ. კარეირა, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი კუნდი პაიამა, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ჟულიაო მატეუშ პაულუ, მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაულუ ტ. ჟორჟი, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და სახელმწიფოს დელეგაციის სხვა წევრები.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებას საფოსტო და ელექტროკავშირგაბმულობის დარგში სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას სსრ კავშირის გამომცემლობის, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წიგნისა და გრაფიკის ეროვნული ინსტიტუტის თანამშრომლობის შესახებ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ასტროსაბჭოსა“ და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეტეოროლოგიური სამსახურის შეთანხმებას ანგოლაში თანამგზავრების ფოტო და ლაზერული დაკვირვების სადგურის ერთობლივი შექმნის შესახებ, შეთანხმებას გეოლოგიისა და სამთო მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შესახებ. (საკდესი).

გვატყობინებენ საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება — დედამიწის ზურგზე

აღვკვეთოთ რაკეტების საფრთხე

ჰელსინკი, 21 დეკემბერი. გუშინ აქ დამთავრდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს საგანგებო სესია. მან ცხადყო მშვიდობისმოყვარე ძალების მტკიცე გადაწყვეტილება არ დაუშვან დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ ნატოს საშიში გეგმების განხორციელება.

ჩვენ მთელი სიმტკიცით უნდა გავილაშქროთ გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, რასაც ვაშინგტონი იწვევს, განაცხადა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა, ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო პროფკავშირულმა მოღვაწემ ჯ. ფიინგლასმა. ამას მოითხოვს ხსოვნა ჯარისკაცებისა, რომლებმაც 35 წლის წინათ თავი დადეს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხაზგასმით აღნიშნა მან.

საბჭოთა ადამიანებს, ისევე როგორც მთელ მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას, კარგად ესმით, თქვა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. კ. ფიოდოროვმა, რომ ნატოს გადაწყვეტილება მიზნად ისახავს ძალთა არსებული წონასწორობის შერყევას. ნატოს ზრახვათა აღსრულებას შეიძლება მოჰყვეს გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი და სულ უფრო დიდი საფრთხე შეუქმნას ხალხთა უშიშროებას. ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხრიკები ჩაუშალონ გამალებული შეიარაღების წამქეზებლებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა ამერიგო ტორენცომ (იტალია) თქვა, რომ ნატოს ქვეყნებში სულ უფრო ფართოვდება მასობრივი კამპანია ნატოს მხედრიონის ავბედითი ზრახვების განხორციელების წინააღმდეგ.

მრავალი ორატორის გამოსვლაში აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს, ითქვა, რომ საბჭოთა კავშირი კონკრეტულ ნაბიჯებს დგამს, რათა პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შეივსოს სამხედრო დაძაბულობის შენელებით.

მუშაობის დასასრულს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის ბიუროს საგანგებო სესიამ მსოფლიო საზოგადოებრიობას მოუწოდა მომავალი 1980 წელი გადააქციოს სამხედრო დაძაბულობის შენელებისათვის მასობრივი მოქმედების წლად.

ირან-ამერიკის ურთიერთობა

ვაშინგტონი, 21 დეკემბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა თეთრ სახლში თათბირი გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელთან დ. მაკჰენრისთან. თათბირის დამთავრების შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები ირანის კრიზისთან დაკავშირებით განიხილავს რამდენიმე ვარიანტს, რომელთაგან ზოგიერთი ითვალისწინებს აქციებსაც გაერთიანებული ერების (ორგანიზაციაში“.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ვაშინგტონმა ინსტრუქციები დაუგზავნა დასავლეთის უდიდეს ქვეყნებში ამერიკის საელჩოებს და ჩამოაყალიბა „ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც მოელის ამერიკის შეერთებული შტატები თავისი მოკავშირეებისაგან“. „ეს ღონისძიებანი, — აღნიშნავს გაზეთი, — ითვალისწინებს, რომ უარი თქვან საბაზრო ფასებით ნავთობის შეძენაზე, არ გადაიხადონ ნავთობში არავითარი სხვა ვალუტა, გარდა დოლარისა, სწრაფად გაყინონ ირანის ავუარები სესხის გადასახდელთა დაგვიანების შემთხვევაში, არ მისცენ ირანს კრედიტი, აგრეთვე არ მიაწოდონ სამხედრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ხაზს უსვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „სულ უფრო სერიოზულად აფრთხილებს ირანს, სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავ და იქნებ არც სამხედრო ღონისძიებებს მოვერიდოთ“. ამერიკის ზეგავლენა ირანზე, — აღნიშნავს გაზეთი, — სულ უფრო ძლიერდება.

ამავე დროს შეერთებულ შტატებში ფართოვდება ირანის საწინააღმდეგო ხმაურიანი კამპანია. „საერთაშორისო უშიშროების ცენტრმა“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების უკიდურეს რეაქციულ ძალებს აერთიანებს, მოუწოდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას სამხედრო სადამსჯელო აქციებს მიმართოს ირანის წინააღმდეგ, პრესკონფერენციაზე ცენტრის პრეზიდენტმა ჯ. ჩურბამ მოითხოვა, რომ დანაღმონ ირანისა და მისი ნავსადგურების საზღვაო მისადგომები, გადასხან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო დესანტი ამ ქვეყნის სანაპიროზე და ხელთ იგდონ ნავთობის საბადოები.

სენატის რესპუბლიკელთა უმცირესობის ლიდერმა გ. ბეიკერმა ნიუ-ჰემპშირის შტატის ქალაქ კონკორდში გამოსვლისას მოუწოდა „მკაცრ პოლიტიკას“ დაადგინონ ირანის მიმართ, და წინადადება წამოაყენა შექმნან დაახლოებით 50.000 კაციანი „ამერიკის პირველი ბრიგადა“, უცხოეთის სახელმწიფოებში ამერიკის საელჩოების პერსონალის დასაცავად.

მეგობრობის დღეები

ქართული ანსამბლის გასტროლები

ადენი, 21 დეკემბერი. იემენის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო ქართული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ორერას“ გასტროლები. პოპულარული საბჭოთა მუსიკალური კოლექტივი გამოვა იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე და მესამე პროვინციებში, რამდენიმე კონცერტს გამართავს ქვეყნის სასწავლებლებში, ადენის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, აგრეთვე იემენის სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მეცნიერული სოციალიზმის უმაღლეს სკოლაში. 22 დეკემბერს ანსამბლი გამოვა დემოკრატიული იემენის ეროვნულ თეატრში, სადაც გაიხსნება იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის დღეები.

ტრიბუნალის განაჩენი

ტოკიო, 21 დეკემბერი. სამხრეთ კორეის სამხედრო ტრიბუნალმა სიკვდილი მიუსაჯა დიქტატორ პაკ ჯონ ხის მკვლელობის შვიდ მონაწილეს. მათ შორის არის სამხრეთ კორეის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი კიმ დე კიუ. განაჩენში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ მკვლელობა მოხდა ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ პირთა მცირე ჯგუფისათვის ასე ნაჩქარევად სიკვდილის განაჩენის გამოტანა სხვა არა არის რა, თუ არა ცდა მიჩქმალონ შეთქმულების სხვა მონაწილეთა ვინაობა.

სეულში ცნობილი გახდა, რომ სამხედრო სარდლობამ, რომელმაც რეალური ძალაუფლება იგდო ხელთ სამხრეთ კორეაში 12 დეკემბერს გადატრიალების შემდეგ, შეუდგენია სპეციალური მოხსენება, მოხსენების ავტორებმა ფაქტობრივად აღიარეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან მჭიდროდ დაკავშირებულ უმაღლეს სამხედრო პირებს განუზრახავთ ფართო შეთქმულება იმ მიზნით, რომ მოეშორებინათ მთლად სახელგატეხილი მარიონეტი პაკ ჯონ ხი, კრახისაგან გადაერჩინათ თვით დიქტატორული რეჟიმი. როცა ეხებიან მიზეზებს, თუ რატომ დააპატიმრეს ერთი კვირის წინათ ეგრეთ წოდებული „ზომიერი“ გენერალი, მოხსენების შემდგენლები ამტკიცებენ, რომ დაპატიმრებულთაგან სამი პირი იყო „საიდუმლო ფონდის მცველი“, სადაც შეთქმულების მონაწილეებს დიდი თანხები შეჰქონდათ. ის ამბავი, რომ სამხრეთ კორეის გენერალიტეტი და მისი მეთაური არმიის შტაბის ყოფილი უფროსი ჩონ სინ ხვა მონაწილეობდნენ პაკის მკვლელობაში, ცნობილი გახდა მთავარი ბრალდებულის კიმ დე კიუს ჩვენებებიდან. მართალია, შემდგომში, ალბათ ხელისუფალთა ზეგავლენით, მან შეცვალა თავისი ჩვენებანი.

მტკიცე პროტესტი

პნომპენი, 21 დეკემბერი. კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მტკიცე პროტესტი განაცხადა ვაშინგტონისა და პეკინის ოფიციალური წრეების იმ ცილისმწამებლური მონაჭორების წინააღმდეგ, თითქოს ვიეტნამი კამპუჩიაში მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებდეს.

კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ აქ გავრცელებულ კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ეს ცილისწამება სწორედ იმ მომენტში ვრცელდება, როცა ვიეტნამელი ხალხი მნიშვნელოვან დახმარებას უწევს კამპუჩიის სახალხო-რევოლუციურ საბჭოსა და ხალხს შიმშილის დაძლევაში, მოსახლეობის ცხოვრების სტაბილიზაციასა და ეკონომიკის აღდგენაში.

არ უნდა დავივიწყოთ, ხაზგასმულია განცხადებაში, რომ სწორედ ამერიკელი იმპერიალისტები ფართო მასშტაბით იყენებდნენ შხამიან ქიმიურ ნივთიერებებს ვიეტნამის, კამპუჩიისა და ლაოსის ხალხთა წინააღმდეგ აგრესიული ომის დროს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის პერიოდში პეკინელი ექსპანსიონისტები უყოყმანოდ ბარბაროსულად არბევდნენ ვიეტნამის მშვიდობიან მოსახლეობას, წამლავდნენ წყლის წყაროებს მათ მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

პეკინისა და ვაშინგტონის ცილისმწამებლური მონაჭორები, განაცხადა კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, მიზნად ისახავს ინდოჩინეთის ქვეყნების ხალხთა გათიშვას, მსოფლიო საზოგადოებრიობის მოტყუებას და კამპუჩიელი ხალხის წინააღმდეგ თავიანთ დანაშაულობათა და ზრახვათა შენიღბვას.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

21 დეკემბერი

ლისაბონი. ძალაში შევიდა პორტუგალიის მთავრობის გადაწყვეტილება ხელფასის გადიდების შეზღუდვის გაუქმებისა და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების თავისუფალი დადების სისტემის აღდგენის შესახებ.

პორტუგალიელი მშრომელების საყოველთაო კონფედერაციამ — ეროვნულმა ინტერსინდიკალმა კმაყოფილება გამოთქვა ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის გამო და ხაზი გაუსვა, რომ ხელფასის გადიდების შეზღუდვის გაუქმება ნიშნავს პროფკავშირების, მთელი მშრომელი ხალხის დიდ გამარჯვებას, აღადგენს კონსტიტუციითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დებულებით გათვალისწინებულ შრომითი კონტაქტების თავისუფალი დადების პრინციპებს.

სტამბოლი. აქ მუშაობას განაგრძობს პროფკავშირის ცენტრალური გენერალური საბჭო „მადენ-იში“. გახსნაზე გამოსულმა „მადენ-იშის“ გენერალურმა თავმჯდომარემ კ. ტიურკლერმა აღნიშნა, რომ საჭიროა ქვეყნის პროფკავშირთა მოქმედების ერთიანობა მეწარმეთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ მუშათა მოძრაობა სულ უფრო ორგანიზებულ ფორმებს იძენს და, თქვა, რომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა პროფკავშირული ერთიანობა.

დამასკო. ნავთობის ექსპორტიორი არაბეთის ქვეყნების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ალი აჰმედ ატიკამ მკაცრად გააკრიტიკა შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ამერიკის ბანკებში ირანის ფულადი შესატანების გაყინვის შესახებ. გაზეთ „თიშრინისათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ეს ღონისძიება კიდევ ერთხელ მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მისწრაფებას მიმართოს ეკონომიკურ საშუალებებს თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

იქ, სადაც კაპიტალი ბატონობს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ფედერალური სასაზღვრო დაცვა ქვეყნის ერთ-ერთი საიდუმლო სამსახურია სხვა მრავალთა შორის. მისი აგენტები საგულდაგულოდ უთვალთვალებენ არა მარტო იმ მოქალაქეებს, რომლებიც სოციალისტურ ქვეყნებში მოგზაურობენ, არამედ, საერთოდ, ყველას აკონტროლებენ მთელ ტერიტორიაზე.

სურათზე ხედავთ, თუ როგორ უღებენ ფოტოსურათებს დემონსტრანტებს, რომლებიც დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის იბრძვიან. ესეც ფედერალური სასაზღვრო დაცვის ფუნქციებში შედის.

ვენის მოლაპარაკება

ვენა, 21 დეკემბერი. გუშინ ვენის ჰოფბურგის სასახლეში დამთავრდა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირების თაობაზე მოლაპარაკების მე-19 რაუნდი.

ამის გამო გამართულ პრესკონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დახურულ პლენარულ სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ელჩი ნ. კ. ტარასოვი.

საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე სოციალისტური ქვეყნების შეთანხმებულ კურსს, რომლის მიზანია სამხედრო დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცება, თქვა მან, ნატოს ბლოკის ხელმძღვანელობამ სამხედრო არსენალების გადიდების კურსი დაუპირისპირეს.

ამ კურსის გამოხატულებაა ნატოს ქვეყნების პოზიციაც ვენის მოლაპარაკებაზე. სწორედ მე-19 რაუნდის დროს დასავლეთის წარმომადგენლები განსაკუთრებით დაჟინებით ეწინააღმდეგებოდნენ მორიგებებს შეიარაღების შემცირების შესახებ, ფაქტობრივად უკან წაიღეს თავიანთივე წინანდელი წინადადება საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეიარაღების შემცირების შესახებ, თავს დაესხნენ სოციალისტური ქვეყნების იმ წინადადებებს, რომლებშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული, იმის საჭიროება, რომ შეიარაღებული ძალები უნდა შეამციროს ყველა უშუალო მონაწილემ და არა მარტო სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, პრაქტიკულად მათ საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ ყოველგვარი შემცირება აიცილონ თავიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და ნატოს წევრი სხვა ევროპული ქვეყნების ჯარებს, რომლებიც ამ ბლოკის შეიარაღებული ძალების 75 პროცენტს შეადგენენ, დაიტოვონ იმის შესაძლებლობა, რომ კიდევ უფრო გაზარდონ ეს ძალები. ახლა ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთევროპელი პარტნიორები აცხადებენ, საბჭოთა კავშირი და ამერიკა კიდევაც რომ მორიგდნენ ჯარების შემცირების თაობაზე, მაინც არ დავეთანხმებით თავიანთი შეიარაღებული ძალები ახლანდელ დონეზე „გაყინონო“, ნატოს ახალი სამხედრო გეგმების შესაბამისად დასავლელი მონაწილენი კატეგორიულად ამბობენ უარს შეამცირონ ან თუნდაც შეზღუდონ თავიანთი ერთ-ერთი მთავარი შეტევითი საშუალება — სამხედრო-საჰაერო ძალები. ყოველივე ეს მოწმობს, რომ დასავლეთი კვლავინდებურად არ აპირებს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ნამდვილად ეფექტიანი ურთიერთშემცირებისათვის გამოიყენოს ვენის მოლაპარაკების დიდმნიშვნელოვანი არხი.

საბჭოთა დიპლომატმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო დასავლეთის წარმომადგენელთა იმ მუდმივი ცდების უსაფუძვლობა, რომ გაამართლონ თავიანთი ნეგატიური პოზიცია ეგრეთ წოდებული „გეოგრაფიული ფაქტორის“, „ციფრების განსხვავების“ მომიზეზებით და ა. შ.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ა. ვილაინმა ხაზგასმით აღნიშნა: ნატოს სახელმწიფოებს ეკისრებათ პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ არ ისარგებლეს ხელშემწყობი შესაძლებლობებით, რომლებსაც ქმნის სოციალისტური ქვეყნების კონსტრუქციული ინიციატივები.

ვენის მოლაპარაკებაზე გამოცხადდა შესვენება იანვრის დამლევამდე.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავის სხდომაზე იმსჯელა სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის საწარმოების მიერ „სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებით გამოწვეული დანაკლისებისა და დანაკარგების ჩამოწერის წესის და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისადმი კონტროლის გაძლიერების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 ივლისის დადგენილების შესრულების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების შესახებ. განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ვიცოდეთ მანეთის ყადრი

გულგრილობა, უპასუხისმგებლობა და უკანონოდ ჩამოწერილი ათასები

დავიწყოთ ფაქტით, რომელიც მოწმობს, თუ რა მოსდევს ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებათა უგულებელყოფას, მათი შესრულებისადმი უპასუხისმგებლო და გულგრილ დამოკიდებულებას.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირის ხელმძღვანელობამ, როგორც ეს შემოწმებით დადასტურდა, დასკვნები არ გამოიტანა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ ზემოაღნიშნული დადგენილებიდან, უპრინციპობა და უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის მრავალი მითითებისადმი. უფრო მეტიც, ცეკავშირის გამგეობის დადგენილება, რომელიც ამავე საკითხს ეხებოდა, საერთოდ არ განუხილავთ საოლქო სამომხმარებლო კავშირის გამგეობის სხდომაზე, დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში და შემოწმების მომენტისათვის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილესთან მ. ცხოვრებოვთან ინახებოდა. და ამის შემდეგ განა რა გასაკვირია, რომ სისტემაში მნიშვნელოვანი რაოდენობით სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა განიავების, დატაცების და გაფუჭების მრავალი ფაქტი გამოვლინდა.

გარდა ამისა, ამ ორგანიზაციის საბალანსო მონაცემებში მიჩქმალულია გაფუჭებული და სარეალიზაციოდ უვარგისი დიდძალი საქონლის ღირებულება, ხოლო ნაწილი საქონლისა საერთოდ არ აღმოჩნდა.

მაგალითად, საოლქო სამომხმარებლო კავშირის ბალანსზე რიცხული 809 ათასი მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთებიდან ადგილზე შემოწმების დროს სარეალიზაციოდ უვარგისი აღმოჩნდა 123,7 ათასი მანეთის, ნაწილობრივ სასაქონლო სახედაკარგული — 252,3 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო 58,6 ათასი მანეთის საქონელი ფაქტობრივად არ არსებობდა.

არ სრულდება აგრეთვე ცეკავშირის გამგეობის 1978 წლის 16 თებერვლის დადგენილება, რომელიც ამხელდა მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვის, დატაცებისა და განიავების უხეშ ფაქტებს, დასახული იყო ღონისძიებანი ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

საოლქო სამომხმარებლო კავშირის საკონტროლო-სარევიზიო სამსახური შემოწმებებს აწყობს ფორმალურად, ღრმად ვერ სწვდება არსებულ ნაკლოვანებებს და დარღვევებს, რომლებიც შემდგომ ცეკავშირის საკონტროლო სარევიზიო სამმართველოს და სხვა საკონტროლო ორგანოებს მრავალჯერ გამოუვლენია. კერძოდ, 1978 წელს და მიმდინარე წლის პირველ ნახევარში აღმოჩნდა 128,2 ათასი მანეთის დატაცების და დანაკლისის ფაქტები; აქედან სამომხმარებლო კავშირმა თავისი ძალებით გამოავლინა მხოლოდ 19 ათასი მანეთი.

მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონელი ირიცხება სისტემიდან დიდი ხნის წინათ წასულ პირებზე, მიუხედავად ამისა, მასალები შემოწმების მომენტში გადაცემული არ იყო საგამოძიებო ორგანოებისათვის.

მთლიანად სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირში 1979 წლის 1 ივლისისათვის სისტემიდან წასულ 172 პირზე ირიცხებოდა 462 ათასი მანეთის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, აქედან მარტო 1978 წელს და მიმდინარე წლის 6 თვეში წასულ პირებზე — 173,9 ათასი მანეთი, ცხინვალის სამომხმარებლო საზოგადოებაში (თავმჯდომარე — ნ. ცხოვრებოვი) სისტემიდან წასულ 56 მატერიალურად პასუხისმგებელ პირზე ირიცხება უვარგისი და ნაწილობრივ სასაქონლო სახედაკარგული 89,1 ათასი მანეთის ნაწარმი, ჯავის სამომხმარებლო საზოგადოებაში (თავმჯდომარე — ვ. გერგაულოვი) 45 პირზე — 32,6 ათასი მანეთის, ხოლო ცხინვალის ქალაქვაჭრობაში (დირექტორი — ი. სანაკოევი) 20 პირზე — 26,0 ათასი მანეთი.

სისტემატურად იზრდება გაფლანგვა-დატაცებათა თანხა, რომელმაც 1977 წელს 80,2 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო 1978 წელს — 125,3 ათასი მანეთი. მნიშვნელოვანი დანაკლისია ჯავის სამომხმარებლო საზოგადოებაში — 24,8 ათასი მანეთი, უკანასკნელი შემოწმების დროს აქვე გამოვლინდა 3,6 ათასი მანეთი დანაკლისი.

უხეშად ირღვევა საქონლის მიღების დადგენილი წესი, რის გამოც ქსელში დაგროვდა 1,3 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ძნელად სარეალიზაციო საქონელი.

სერიოზული ნაკლოვანებებია კადრების შერჩევისა და განაწილების, დავალიანების დაფარვის, საქონლის ჩამოფასებისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების კუთვნილ შვებულებაში გაშვების საქმეში.

ხშირად ირღვევა „სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებით გამოწვეული დანაკარგების ჩამოწერის წესის შესახებ“ ცენტროსოიუზის გამგეობის დადგენილება. სახელმწიფოს საზარალოდ საქონლის ჩამოწერა ხდება კონკრეტული დამნაშავე პირის დაუდგენლად. მაგალითად, ცხინვალის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობამ 1978 წელს 18 მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ჩამოაწერა 16,5 ათასი მანეთი, ხოლო ჯავის რაიკოოპერატივის გამგეობამ უსაფუძვლოდ მიიღო გადაწყვეტილება მატერიალურად პასუხისმგებელი პირებისათვის 15,3 ათასი მანეთის ჩამოწერის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიუხედავად საოლქო სამომხმარებლო კავშირის გამგეობამ 1979 წლის პირველი ნახევრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობის საკითხის განხილვისას ძალზე ზერელე, ლიბერალური დადგენილება მიიღო, მკაცრად არ იმსჯელა რაიონული სამომხმარებლო საზოგადოებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ, კონკრეტული რეკომენდაციები არ შეუმუშავებია მდგომარეობის გამოსასწორებლად.

შემოწმებული სავაჭრო ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფები სათანადოდ არ სწავლობენ კოოპერაციული საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა გაფუჭებით დანაკლისებისა და დანაკარგების ჩამოწერის წესის დაცვის საკითხებს, ღრმად არ სწვდებიან დარღვევების გამომწვევ მიზეზებს, მთლიანად არ იყენებენ დებულებით მინიჭებულ უფლებებს დამნაშავეთა მიმართ.

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაავალა ცეკავშირის გამგეობას და საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოს ქმედითი დახმარება გაუწიონ საოლქო სამომხმარებლო კავშირს გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, მეტი ყურადღება დაუთმონ სამომხმარებლო კოოპერაციისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას, კადრების შერჩევასა და განაწილებას და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დანაკლისების, გაფლანგვა-დატაცებათა თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას.

კოოპერაციული საკუთრების დაცვის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებისათვის, კონკრეტულად დამნაშავე პირთა მიმართ უპრინციპობა და ლიბერალური დამოკიდებულებისათვის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ ნაშთებში დიდი რაოდენობის სარეალიზაციოდ უვარგისი საქონლის ღირებულების მიჩქმალვისათვის საოლქო სამომხმარებლო კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ი. თედეევს და ყოფილ მთავარ ბუღალტერს, ამჟამად გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს მ. ცხოვრებოვს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური. ასეთივე სასჯელი დაედოთ აგრეთვე ცხინვალის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ცხოვრებოვს (მის მიმართ მოახდინა დარიცხვა ფულადი თანხის ორი თვის თანამდებობრივი განაკვეთის — 260 მანეთის ოდენობით), ჯავის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ვ. გერგაულოვს და ცხინვალის ქალაქვაჭრობის დირექტორს ი. სანაკოევს.

სამხრეთ ოსეთის საოლქო სამომხმარებლო კავშირს დაევალა მასალები სისტემიდან წასული იმ მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შესახებ, რომლებზეც ირიცხება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობანი, გადასცეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურატურას.

პირველი ნაბიჯები

კანონი სახალხო კონტროლის შესახებ, რომელიც სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო, უდიდესი მოვლენაა კონტროლიორთა ცხოვრებაში. ეს ლენინური დოკუმენტი აკონკრეტებს და ავითარებს სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს, ხელს უწყობს კონტროლის ორგანოების საქმიანობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

ახლა სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფების ვალია ღრმად გაუმართონ კონტროლიორებს, შტატგარეშე აქტივისტებს კანონის შინაარსი.

კომკავშირული შახტის, ისევე როგორც მთელი მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის კონტროლიორებმა უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები. გაზეთებში კანონის გამოქვეყნებისთანავე სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში ჩატარდა მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეთა და შტატგარეშე აქტივისტების თათბირი, რომელმაც იმსჯელა თითოეული კონტროლიორისათვის კანონის გაცნობის საკითხზე. ამის თაობაზე ვრცლად გვესაუბრა ტყიბულის კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ქ. კუბლაშვილი. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კანონში მოცემულ სიახლეებს.

თათბირზე გამოვიდნენ და თავიანთი მოსაზრებანი ჩამოაყალიბეს მეთაური ჯგუფების თავმჯდომარეებმა პ. ნანიკაშვილმა, ს. ბოდოკიამ, ალ. ქათამაძემ, ზ. ჯაშმა, მ. ბოჭორიშვილმა და სხვებმა.

თვითონ მე, როგორც სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარემ, შევკრიბე ჯგუფის ყველა კონტროლიორი, რომელთაც გავაცანი ახალი კანონის მთელი ტექსტი, ვისაუბრეთ ცალკეული მუხლის მნიშვნელობაზე, კანონის უკეთ შესწავლის მიზნით გადავწყვიტეთ თვალსაჩინო ადგილზე მოგვეწყო ლიტერატურის გამოფენა, ვისაუბრეთ ჩვენი საწარმოს ავ-კარგზე. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე, ეფექტიანობის ამაღლებაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მტკივნეულ საკითხებზე. კონტროლიორებს მივეცით კონკრეტული დავალება, განვსაზღვრეთ შესრულების ვადები.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი დრო არ გასულა, მეთაურ ჯგუფში უკვე მოდის შემოწმების პირველი მასალები. გამოვლენილ ნაკლოვანებებზე კონკრეტულად ვიმსჯელებთ და დავსახავთ ღონისძიებებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ვ. ჭელიძე,
ქ. ტყიბულის კომკავშირული შახტის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე.

ამოწმებენ ხარისხს



თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მეთაურ საწარმოში საზოგადოებრივი კონტროლიორები სასარგებლო საქმიანობას ეწევიან.

საწარმოში სახალხო კონტროლიორების ინიციატივით ფართოდ გაიშალა ნედლეულისა და ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლა. მიმდინარე წლის მხოლოდ ათი თვის განმავლობაში დაზოგილია 1600 ათას დეციმეტრზე მეტი რბილი ტყავი და 205 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

სახალხო კონტროლიორებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ხშირად მათ უხარისხო ტყავსაქონელს აწვდიან. მათი ინიციატივით მოიწვიეს ფაბრიკა „ისნის“ სახალხო კონტროლიორთა ჯგუფებისა და ნედლეულის მიმწოდებლის — თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანების ერთობლივი სხდომა. შემუშავებულმა რეკომენდაციებმა დადებითი შედეგი გამოიღო.

სურათზე: საწარმოს სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქციის სამკერვალო ნაკადი; სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარე, ფაბრიკის გასაღების საამქროს უფროსი ვახტანგ ვასაძე (ცენტრში) და საზოგადოებრივი კონტროლიორები, კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქროს სამკერვალო ნაკადის ოსტატი ზინა მათიაშვილი, მხატვარი მემოდელე საველი შახკულოვი ახალი მოდელის ფეხსაცმლის ნიმუშებს ამოწმებენ.
ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უფლება-მოვალეობის შეგნებით

სრულყოფენ საკონტროლო საქმიანობას

სახალხო კონტროლის კანონი, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობაში. იგი ხელს შეუწყობს სახალხო კონტროლიორების საქმიანობის შემდგომ სრულყოფას, მათი აქტიურობის ამაღლებას. ჩვენი დედაქალაქის სახალხო კონტროლიორები ღრმად სწავლობენ და პრაქტიკულად ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მასალებს, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში დასახულ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, და მთელი შეგნებით ცდილობენ განუხრელად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი, დაიცვან წესრიგი, დისციპლინა, სოციალისტური საკუთრება.

ფხიზლად და მიზანმიმართულად მოქმედებს თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფი, რომელსაც ლ. მიქაელიანი ხელმძღვანელობს. მუშაობაში კონკრეტულობისა და ქმედითობის მიღწევისათვის აქ შეიქმნა საჯაროობის, გეგმა-დავალებათა შესრულების, ტექნიკის ათვისება-დანერგვის, პროდუქციის ხარისხის, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მომჭირნეობის, წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების სექტორები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სახალხო კონტროლის ბიუროში არჩეულნი გ. ბანცაძე, მ. გიორგაია, შ. თედორაძე, ი. კინწურაშვილი, პ. აღნიაშვილი.

წლეულს უკვე მოეწყო 15 რეიდი, სახალხო კონტროლის ბიუროს 9 სხდომა და 4 საერთო კრება. საინტერესო იყო ნომენკლატურის მიხედვით წლის პირველ ნახევარში საექსპორტო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულების საკითხის განხილვა. აღმოჩნდა, რომ ცალკეული ნომენკლატურის მიხედვით არ სრულდებოდა გეგმა. შემუშავდა წინადადებები, რომლებიც დირექციას გადაეცა. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

ბევრი ნაკლი გამოვლინდა თერმული დამუშავების თვალსაზრისით ფრეზების ხარისხის საკითხის განხილვისას. დამნაშავეებს ჯეროვნად მიეზღოთ და მდგომარეობა არსებითად შეიცვალა.

სახალხო კონტროლის ჯგუფის ჩარევის შემდეგ დირექციამ დააკმაყოფილა ის პრეტენზიები, რომლებსაც ქარხანა ორენბურგიდან, ვოლგოგრადიდან, კურგანიდან ღებულობდა (ეს პრეტენზიები ეხებოდა მრავალწახნაგა საჭრისების, ფრეზების, მირჩილული საჭრისების მიწოდებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში).

კანონი „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“ ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას, კოლექტიურობას, საჯაროობას, კონტროლიორთა უფლებების დაცვას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის შეხამებას. ამ მოთხოვნებს რომ ითვალისწინებენ, ქალაქის კონტროლის ორგანიზაციები, კონტროლიორები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან, ფხიზლად დგანან ყველგან და ყველაფერში დისციპლინის, წესრიგის დაცვის სადარაჯოზე, აი კონტროლის მუშაკთა ზოგიერთი მოსაზრება:

ნ. ლომიძე (სახალხო კონტროლის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე განყოფილების გამგე) — ჩვენ ვმეთვალყურეობთ მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა საქმიანობას. ბოლო დროს ყურადღება გავამახვილეთ მომჭირნეობაზე, რომელიც ყველას საზრუნავია. კონტროლიორები იბრძვიან ენერგეტიკული რესურსების რაციონალური ხარჯვისა და ზედმეტი განათების აღკვეთისათვის. ათ თვეში ცხრამეტმა საწარმომ 26.100 მანეთის ელექტროენერგია დაზოგა. მაგრამ გამოვლინდა ხარვეზებიც.

ამ საქმეში სცოდავენ ქალაქის საბინაო მეურნეობის სამმართველოს საწარმოო კომბინატი, ტრიკოტაჟის ფაბრიკა „დინამო“, ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“, მესამე მექანიკური ქარხანა და სხვა საწარმოები. შემოწმების შედეგები განიხილა კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა და დასახა ღონისძიებები. მათი განხორციელების შედეგად ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საშემკეთებლო-მექანიკურ ქარხანაში ფართოდ ავრცელებენ მოწინავე მუშების ი. აფციაურისა და გ. მარგიევის გამოცდილებას, რომლებსაც თვალსაჩინო წარმატებები აქვთ ელექტროენერგიის დაზოგვაში.

თ. გოგია („თბილისმრეწვმშენის“ № 3 ტრესტის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე) — ჩვენს ქვეყანაში კონტროლის უფლება ხალხს ეკუთვნის. ამის შესახებ ხაზგასმით ლაპარაკობს კანონი „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“. ამ კანონის განუხრელი შესრულება თითოეული კონტროლიორის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ჩვენთვის მეათე ხუთწლედი 105 ობიექტის ჩაბარების ხუთწლედია. უკვე ჩაბარებულია 74. სახალხო კონტროლის ჯგუფები კვლავაც შეუპოვრად იბრძოლებენ არა მარტო მშენებლობის, არამედ თავიანთ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის იმ სულისკვეთებით, რომლითაც გამსჭვალულია ახალი კანონი.

ს. ყურაშვილი,
„კომუნისტის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.

ახალი კანონი „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ“, რომელიც ერთსულოვნად მოიწონა და დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს სესიამ დღეს სამოქმედო სახელმძღვანელოდ გაიხადა ყველა საბჭოთა ადამიანმა. ამიტომაც იგი საკონტროლო მუშაობის ეფექტიანობის, მისი ქმედითობის მკვეთრი ამაღლების მტკიცე საფუძველი გახდა. ახლა მისი მოთხოვნების განუხრელი შესრულება თითოეული სახალხო კონტროლიორის საპატიო მოვალეობა და ღირსების საქმეა.

მასების კონტროლით

ხალხის ფხიზელი თვალი

გვერდი № 154

მობინადრეთა მოთხოვნებს — მეტი გულისყური

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა საკითხი „1977-1980 წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების თაობაზე სადირექტივო მითითებათა შესრულების შემოწმების შედეგების შესახებ“. კომიტეტმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს ხელმძღვანელობას დაავალა პრესის ფურცლებზე განმარტოს გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზები და მათი აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებები.

გთავაზობთ თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსის თ. მინდელის წერილს, რომელიც ამ საკითხისადმი არის მიძღვნილი.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მშრომელთა მოთხოვნილებების, ინტერესების გათვალისწინებით მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება პარტიისა და მთავრობის უპირველესი ამოცანაა. ინტენსიური განაშენიანების შედეგად, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა კეთილმოწყობილი ბინებით დაგვეკმაყოფილებინა ჩვენი დედაქალაქის ათიათასობით ოჯახი, გაგვეუმჯობესებინა მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები. ამ მხრივ მუშაობა მომავალშიც კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, ფაქტია ისიც, რომ ქალაქის ზრდის ტემპმა დიდი ამოცანები დაუსახა საბინაო მეურნეობის მუშაკებს.

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ბინათმშენებლობის სადღეისო ტემპს საგრძნობლად ჩამორჩება საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის დონე, რაც ხშირად მობინადრეთა კანონიერ საჩივრებს იწვევს. საბინაო მეურნეობის სამმართველოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს მკაცრი, მაგრამ ობიექტური შეფასება მისცა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელმაც შეამოწმა აღნიშნულ ორგანიზაციებში მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის მდგომარეობა.

მილიონიანი დედაქალაქის მცხოვრებთა საბინაო-კომუნალური მომსახურება ერთ-ერთი რთული და პასუხსაგები უბანია და, ცხადია, სამისოდ მარტო მონდომება და ენერგია როდია საკმარისი. მისი მაღალი დონე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მატერიალური ბაზის განმტკიცებაზე, საშენი მასალებით, საბინაო მეურნეობისათვის საჭირო და აუცილებელი სანტექნიკური მოწყობილობით, დეტალებით შეუფერხებელ მომარაგებაზე, კვალიფიციური კადრების ზრდაზე. ამ მხრივ, მართალია, ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვერავითარი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით ვერ გაამართლებ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვისა და დაკმაყოფილების საქმეში არსებულ დარღვევებს, გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტებს. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა მშრომელთა მიერ დაყენებული ელემენტარული საკითხის გადაჭრა ადგილზევე შეიძლება, მაგრამ იგი სრულიად გაუმართლებლად თვეობით და ზოგჯერ წლობითაც ჭიანურდება. თითოეული წერილის, განცხადების მიღმა ხომ ადამიანი დგას, და ჩვენი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობაა გავითვალისწინოთ მათი სურვილები, მოთხოვნები, სრულყოფილად დავაკმაყოფილოთ ისინი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების დროული განხილვისა და მათში აღძრული საკითხების ოპერატიულად, ხარისხიანად გადაჭრის საქმეს. საბინაო სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში შემოვიღეთ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალები, რომლებშიც ზუსტად აღირიცხება მათი შემოსვლის, რეაგირებისა და მოქალაქეებისათვის პასუხის შეტყობინების მდგომარეობა. სისტემატური კონტროლია დაწესებული დაქვემდებარებული ორგანიზაციებისათვის დავალებული საკითხების დროული მოგვარებისადმი. რაიონების მიხედვით გამოვყავით აპარატის მუშაკები, რომლებსაც დაევალათ განცხადებათა განხილვის მდგომარეობის მეთვალყურეობა და დაეკისრათ პასუხისმგებლობა შედეგებისათვის. ჩვეულებრივ, ეხლა თითოეული განცხადების ჩამოწერა ხდება საჩივრის შემოწმების შედეგებზე მოხსენებითი ბარათის წარდგენის შემდეგ. მაგალითად, მიმდინარე წელს შემოსული 741 განცხადებიდან მხოლოდ 9 განცხადებას გაეცა დაგვიანებით პასუხი და ისიც ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

საჯაროობა კონტროლის ქმედითობის საწინდარია

ქალაქის საბინაო სამმართველოს ხელმძღვანელობის სპეციალური ბრძანებით დაწესდა მოქალაქეთა მიღების დღეები რაიონულ საბინაო სამმართველოებსა და საექსპლოატაციო ორგანიზაციებში, მათს ხელმძღვანელებს დაევალათ მოქალაქეთა მიღებისა და განცხადებების განხილვის ვადების დაცვა.

სისტემატური ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ მოქალაქეთა თხოვნა წყალსადენის, ბინების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, სალიფტო მეურნეობის მუშაობის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხებზე შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხიანად დაკმაყოფილდეს.

ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ უკანასკნელ ხანს მტკიცდება საბინაო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმჯობესდება საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია. აშენდა საწარმოო კომბინატი, ქალაქის რვა რაიონში — საწარმოო ბაზები სარემონტო-სამშენებლო უბნებისათვის. შეიქმნა ბრტყელი სახურავების შემკეთებელი სპეციალიზებული უბანი, მოეწყო სპეციალური საამქრო, სადაც ათვისებული და დანერგილია ჰიდროიზოლაციის ისეთი მეთოდი, რომელიც ერთ-ერთი პირველია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაში. ლენინის, კიროვის, ორჯონიკიძის და 26 კომისრის რაიონების საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებისათვის აშენდა სამეურნეო ბლოკები. მიმდინარე წელს დამთავრდება ლიფტების ქარხნის მშენებლობა, რაც ძირითადად უზრუნველყოფს აღნიშნული მეურნეობის მომარაგებას მარაგნაწილებით.

შენდება ახალი საწარმოო-სადისპეტჩერო სამსახურის შენობა წერეთლის გამზირზე, რომლის ამოქმედების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდება სავარიო სამსახურების მუშაობა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჯერჯერობით 400-ზე მეტი ლიფტი გადაყვანილ იქნა სადისპეტჩერო მომსახურებაზე, რის შედეგადაც გამოთავისუფლდა 1200-ზე მეტი მელიფტე. პირობითმა ეკონომიამ წელიწადში 1,2 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა. ამ და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გამოთავისუფლებულ დამატებითი სახსრებს უკვე ვიყენებთ საბინაო ფონდის მიმდინარე შეკეთებისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციებს დამატებით გამოეყოთ 182 სანტექნიკოსის საშტატო ერთეული, რაც დიდი რეზერვია იმისათვის, რომ მუშაობა სადღეისო მოთხოვნების შესაბამისად მოვაწყოთ.

კარგად გვესმის, რომ მიუხედავად ამისა, ჩვენ ჯერ კიდევ ვალში ვართ თბილისის მოსახლეობის წინაშე, და საბინაო სამმართველოს კოლექტივი ყველა ღონეს იხმარს მისი სამართლიანი მოთხოვნების მაქსიმალური და მაღალხარისხოვანი დაკმაყოფილებისათვის.

ადგილობრივ კომიტეტებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი

საზოგადოებრივი კვების ტრესტის № 175 გაერთიანების მუშაობის თაობაზე შემოსული განცხადების შემოწმების შედეგებზე იმსჯელა თბილისის კალინინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. შემოწმებით კალინინის რაიონის საზოგადოებრივი კვების ტრესტის (დირექტორი — ე. ჩიკვაიძე), № 175 გაერთიანების (გამგის მოვალეობის შემსრულებელი — ნ. რუსია) ლუდის ბარში გამოვლინდა ვაჭრობის წესების დარღვევების ფაქტები.

ანალოგიური ნაკლოვანებები გამოვლინდა ამავე გაერთიანების ფილიალის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის მუშათა სასადილოში (მზარეული — რ. დოკვაძე).

სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნული დარღვევებისათვის № 175 გაერთიანების გამგის მოვალეობის შემსრულებელს ნ. რუსიას გამოუცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო ამავე გაერთიანების წარმოების გამგე ა. კირვალიძე გადააყენა თანამდებობიდან.

ქ. ქუთაისი

ლენინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა ენდოკრინოლოგიურ დისპანსერში საშტატო დისციპლინის შემოწმების შედეგები. ორგანიზაციაში გამოვლინდა საშტატო დისციპლინის დარღვევის ფაქტი.

დისპანსერის მთავარი ექიმის 1978 წლის 18 მარტის № 7 ბრძანებით სანიტრის თანამდებობაზე დაინიშნა ე. ანდრეევა, რომელიც ასრულებდა მდივან-მემანქანის ფუნქციას. ამ გზით მას უკანონოდ მისცეს ხელფასი 1301 მანეთის ოდენობით.

კომიტეტმა განიხილა საშტატო დისციპლინის დარღვევის ფაქტი და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით ენდოკრინოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმის შ. ჩიკვაშვილის მიმართ მოახდინა ფულადი დარიცხვა ერთი თვის ხელფასის 185 მანეთის ოდენობით.

სამტრედია

რაიონის ზოგიერთ სამშენებლო ორგანიზაციაში ხელფასის წანამატის გაცემის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამტრედიის № 2 ტრესტის № 46, 25, ამავე ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს, № 10 ტრესტის № 2 სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელებს 1978-79 წლებში არასწორად გაუციათ 37.420 მანეთი.

კონტროლის კომიტეტმა განიხილა შემოწმების შედეგები და სახელმწიფო თანხების არასწორად გაცემისათვის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის სპეციალიზებული მოძრავ - მექანიზებული კოლონის, № 2 ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს, № 46 მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელების და მთავარი ბუღალტრების ჯ. თარგამაძის, მ. კოპალეიშვილის, დ. ჭკადუას, ნ. გიგინეიშვილის, ა. გოგოლაძის, ლ. ბაღდავაძის მიმართ მოახდინა ფულადი დარიცხვა ნახევარი თვის ხელფასის ოდენობით, ხოლო № 2 ტრესტის № 25 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარი ბუღალტრის ბ. ლეჟავას მიმართ — ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

ერთმანეთისაგან სწავლობენ

ლატვიელი კონტროლიორები წითელწყაროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დადგენილება „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“ პარტიული და სახალხო კონტროლის ორგანოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობას. დადგენილება ერთ-ერთ ეფექტიან ღონისძიებად მიიჩნევს მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარებას.

სწორედ ამ მიზნით შარშან ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს ეწვივნენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა წარმომადგენლები. მეგობრებმა ბევრი რამ გაუზიარეს ერთმანეთს, ისწავლეს და დანერგეს მუშაობაში.

ამჯერად უკვე ლატვიელი სახალხო კონტროლიორები გვესტუმრნენ ისინი იყვნენ წითელწყაროს რაიონში. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ ლატვიის სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ვ. ბლავისლავიჩიუსი, ქ. ვილნიუსის ოქტომბრის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. სტოლოროვი, კედოიანის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ტროგიოპასი.

სტუმრები გაეცნენ წითელწყაროს რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის, მისი ძირეული ორგანიზაციების, სასოფლო საბჭოებთან არსებული ჯგუფების მუშაობას. იყვნენ სოფელ წითელწყაროში, ზემო მაჩხაანში, ჯაფარიძეში. სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობის გამოცდილებაზე, აგრეთვე სოფლის მეურნეობის საკითხებზე სტუმრებს ესაუბრნენ ჯგუფის თავმჯდომარეები ბ. ბენაშვილი, ე. ოგანჯაროვი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყოჩიაშვილი.

სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ნ. ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი სოფელ მირზაანში, რაიონის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალგაზრდობა—იმედი ხვალის

დაგვეკვებოს!..

ქართველი მომღერლის წარმატება საერთაშორისო კონკურსზე



საახალწლო სუფრაზე ჯემალ მდივნის ოჯახში, უეჭველი, გამორჩეულად ითქმება იმ დიდი გამარჯვების სადღეგრძელო, რომელიც სწორედ ახალი წლის კვირაძალზე მოიპოვა ახალგაზრდა მომღერალმა.

ყოველივე კი ბარსელონაში, გამოჩენილი ესპანელი მომღერლის ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა დიდ საერთაშორისო კონკურსზე მოხდა.

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს ჯ. მდივანს ამ კონკურსში წინათაც მიუღია მონაწილეობა. 1977 წელს იგი ავადმყოფობის გამო დასკვნითი ტურიდან გამოეთიშა კონკურსს, მაგრამ იმდენად შთამბეჭდავი იყო მაშინ ქართველი მომღერლის გამოსვლები, რომ წელს ჟიურიმ პირველად დაარღვია ტრადიცია და ჯ. მდივანი განმეორებით მიიწვია ბარსელონაში.

ამჯერად, ბოლომდე იმარჯვა ჯემალმა. 22 ქვეყნის 83 მომღერალს შორის, ბარსელონის „ლიცეოს“, მილანის „ლა სკალას“, „მეტროპოლიტენ ოპერის“, „გრანდ ოპერის“, რომის, ფლორენციის, მონრეალის საოპერო თეატრებისა და კიდევ სხვა ქვეყნების ახალგაზრდა ვოკალისტებთან კონკურენციაში იმარჯვა!

— ორი კონკურსია — ქალთა და მამაკაცთა, — გვიამბობს ჯ. მდივანი. — აღსანიშნავია, რომ ქალთა კონკურსში ჩვენი ქვეყნიდან ორი მომღერალი მონაწილეობდა — დიდი თეატრის სოლისტი ლ. ნამი და ერევნელი ე. ჩახოიანი. აქვე გეტყვით, რომ მოსკოველმა სოლისტმა მეორე პრემია დაიმსახურა, ხოლო ე. ჩახოიანი, სამწუხაროდ, მეორე ტურიდან გამოეთიშა კონკურსს.

ჯემალმაც მეორე პრემია მიიღო, ოღონდ სულ სხვა პეწი და ლაზათი აქვს ამ ჯილდოს — პირველი პრემია არავის არ მიაკუთვნა ჟიურიმ.

— ამ კონკურსის პროგრამა ძალზე რთული და საინტერესოა. —განაგრძობს ჯ. მდივანი. — მონაწილემ უნდა იმღეროს ექვსი დიდი არია (ერთ-ერთი აუცილებლად ორატორიიდან) და სამი რომანსი. ნაწარმოებები სამ ენაზე სრულდება (აუცილებელია — იტალიურად). გამარჯვებისათვის ყოველი მათგანის შესრულებისას თანაბარი სიძლიერეა საჭირო. საგულისხმოა ისიც, რომ კონკურსზე ხმები არ იყოფა. რას ნიშნავს ეს? უნდა აჯობო არა მარტო ბარიტონს, არამედ ტენორსაც და ბანსაც.

ქართველმა ბარიტონმა ყველას აჯობა, ბრწყინვალედ შეასრულა ჰაიდნის, ვერდის, ჩაიკოვსკის, მალერის, ლეონკავალოს, როსინის ნაწარმოებები.

ახლა კი ალბათ უნდა გაგაცნოთ ამონაწერი ესპანეთის ერთ-ერთ უდიდეს გაზეთ „ლა ვანგვარდიადან“, რომელიც ასე აფასებს ქართველი მომღერლის გამოსვლას:

„გასაკვირია, რატომ არ გათამაშდა პირველი პრემია მამაკაცთა შორის, რომელიც უყოყმანოდ ეკუთვნოდა საბჭოთა ბარიტონს ჯემალ მდივანს.

მომღერალი ძალზე ძლიერად გამოვიდა თეატრ „ლიცეოში“, ეს ნამდვილ ზეიმს ჰგავდა. მისი ხმა შეუდარებელია, შესანიშნავი დიქცია აქვს. იგი მიეკუთვნება პროფესიონალ საოპერო მომღერალთა უმაღლეს კატეგორიას. საინტერესოა, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა ჟიური, როდესაც მხოლოდ მეორე პრემია და ლაურეატის წოდება მიანიჭა მომღერალს“.

დაგვეთანხმებით, რომ გაზეთის ეს შეფასება პირველი პრემიის ტოლფასია. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ლაურეატთა კონცერტზე, (რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მომღერლები ჯინო ბეკი, ჯულიეტა სიმიონატო, მონსერატ კაბალე, პლაჩიდო დომინგო და სხვები) დიდებული გამოსვლის შემდეგ ჯინო ბეკიმ სამახსოვრო სურათიც გადაიღო ქართველ მომღერალთან.

ფრანსისკო ვინიასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ამ რანგის კონკურსებს შორის. საბჭოთა მომღერლები მასში 1970 წლიდან მონაწილეობენ. დასაწყისი სასიამოვნო გამოდგა ჩვენთვის. ალბათ გახსოვთ ზურაბ სოტკილავას და ელენე ობრაზცოვას მაშინდელი წარმატება!

...ეს წელიც მიილია. საახალწლოდ, როდესაც ახალგაზრდა მომღერალს უკვე შარშანდელ მიღწევებს დაულოცავენ, რა თქმა უნდა, ახალ გამარჯვებათა დაკვებებასაც უსურვებენ. ჭეშმარიტად, ეგრე იყოს!

ვ. მარდალეიშვილი.

სურათებზე: ზემოთ — პრიზი „ქალაქ ბარსელონას მფარველი ქალღმერთი“, რომელიც საპატიო დიპლომთან და ფრანსისკო ვინიასის მედალთან ერთად გადაეცა ქართველ მომღერალს; ჯ. მდივანი; ქვემოთ — ჯ. მდივანი და თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალი ჯ. ბეკი.

ვიქტორინა-კონკურსის გამარჯვებულნი

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკურ საზოგადოებაში მოეწყო ვიქტორინა-კონკურსის „დიდი ოქტომბრით შობილი მეგობრობის“ გამარჯვებულთა დაჯილდოვება. ვიქტორინა-კონკურსი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს 30-ე წლისთავის აღსანიშნავად მოაწყვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საზღვარგარეთის ტურიზმის მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საზღვარგარეთის ტურიზმის სამმართველომ და გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციამ.

მთავარი პრიზების — ბულგარეთში, უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში ტურისტული საგზურების მფლობელნი გახდნენ თბილისის ს. კიროვის სახელობის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფირცხალავა, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ლ. ბუჩუკური, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტი ი. ნანობაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ნ. დოლიძე და თბილისის მე-20 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ლ. ებრალიძე.

პრესკონფერენციაზე სსრ კავშირში სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი ტურისტული ორგანიზაციების, რესპუბლიკის პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკთა წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ვიქტორინა-კონკურსს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე ზ. შოშიტაშვილი, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. გორდელაძე.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიხსნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ტურისტული პლაკატების გამოფენა.

ოც წელზე მეტია მსოფლიოში პირველი საბჭოთა ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ სამსახურს განაგრძობს არქტიკის ფათერაკიან ტრასებზე. ატომური ყინულმჭრელი ფლოტის განვითარების შესახებ ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტის კითხვებს უპასუხებს მურმანსკის საზღვაო სანაოსნოს უფროსი ვლადიმერ იგნატიუკი.

ჩრდილოეთის განედებზე

არქტიკის ატომური გოლიათი

— **რატომ გახდა საჭირო ატომური ყინულმჭრელები?**

— ატომური ყინულმჭრელის „ლენინის“ შექმნამ პოლარულ ნაოსნობაში ახალი ხანის დადგომა გვაუწყა. თუ მანამდე მეზღვაურები მხოლოდ წლის ხელსაყრელ დროს ბედავდნენ მაღალ განედებზე გასვლას, ახალი ყინულმჭრელი სათავეში ჩაუდგა სატრანსპორტო გემებს ნავიგაციისათვის სრულიად უჩვეულო სეზონში.

არქტიკის აქტიურ ათვისებაზე ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ოცნებობდა რუსი ადმირალი სტეფანე მაკაროვი, მსოფლიოში პირველი ყინულმჭრელის „ერმაკის“ შემქმნელი.

— **როგორი სიმძლავრისაა პირველი ატომური ყინულმჭრელი?**

—„ლენინის“ ენერგეტიკული დანადგარი 44 ათასი ცხენისძალიანია. მაგრამ უკვე „არქტიკაზე“ 75 ათასი ცხენის ძალა გვაქვს. სწორედ ამან მისცა საშუალება 1977 წელს ჩრდილოეთის პოლუსი დაეპყრო.

— **რა შეიცვალა არქტიკულ ნავიგაციაში ატომმავლების გაჩენის შედეგად?**

— ყინულმჭრელ „ლენინამდე“ არქტიკული ნავიგაცია ივლისის მეორე ნახევარში იწყებოდა და ოქტომბერში მთავრდებოდა. 60-იანი წლებიდან ჩვენ სანაოსნოდ გავდიოდით უკვე მაისის დამლევს და რეისებს ნოემბერში ვამთავრებდით. ახალმა ატომმავლებმა კიდევ უფრო გაახანგრძლივეს ნავიგაცია. 60-იანი წლების დამლევისათვის სატრანსპორტო გემები დუდინკაში წელიწადში მხოლოდ სამ თვეს მიდიოდნენ. მერე ნავიგაციის ხანგრძლივობა 5-6 თვემდე გაიზარდა. 1978 წლიდან კი ენისეის შესართავამდე რეისები პრაქტიკულად მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

„ლენინმა“ ახალი ტრასები გაიყვანა მაღალ განედებზე, „არქტიკამ“ ჩრდილოეთის პოლუსი დაიპყრო, „სიბირმა“ ტრანსპორტი „კაპიტან მიშევსკი“ მურმანსკიდან მაგადანამდე უმოკლესი, მაღალი განედის გზით გაიყვანა. ამ რეისში შემოწმდა გემის ყველა კვანძის გამძლეობა, ტვირთზე ტემპერატურათა ცვალებადობის გავლენა.

— **არის თუ არა სხვა ქვეყნებში ასეთი ატომმავლები?**

— ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიოში პირველმა წარმატებით გამოიყენა ატომური ენერგია სატრანსპორტო ფლოტზე, ესეც კი, ატომურდანადგარიანი გემების შექმნა სხვა ქვეყნებშიც უცდიათ. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ააგეს ატომმავალი „ოტო განი“, მაგრამ რენტაბელური არ აღმოჩნდა. ვინ არ იცის, რა სავალალო ბედი ეწია იაპონიის ატომურ გემს „მიცუს“, რომელსაც დღემდე ვერ უპოვია ნავსაყუდელი ენერგეტიკული დანადგარის უწესივრობისა და ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრიობის პროტესტების გამო.

— **როგორ არის ატომურ ყინულმჭრელებზე რადიაციული უსაფრთხოების საქმე?**

— ასეთ კითხვას რომ უპასუხებ, არაკონკრეტული ვერ იქნები— საჭიროა ფაქტები. ჩვენს ატომურ გემებზე ამ მხრივ რომ საიმედო დაცვაა, ამას კერძოდ, მოწმობს ასეთი ფაქტი: ყინულმჭრელ „ლენინზე“ ეკიპაჟის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც თავიდანვე მუშაობენ აქ, და მთელი ამ დროის განმავლობაში გამოსხივების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ეს ყინულმჭრელი კარგი ბაზა გახდა ატომური ფლოტის წამყვანი სპეციალისტების მოსამზადებლად. მაგალითად, ალექსანდრე სლეზნიუკი აქ მთავარ მექანიკოსად მუშაობდა. ახლა მას იგივე თანამდებობა უკავია „სიბირზე“. ჩვენს პირველ ყინულმჭრელზე დაიწყო კაპიტნის გზა იური კუჩიევმაც. 1977 წელს მისი მეთაურობით „არქტიკამ“ ჩრდილოეთის პოლუსს მიაღწია.

— **რამდენად ეფექტიანია ატომმავალი ეკონომიკური თვალსაზრისით?**

— ეს გემები სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ, რაც ნიშნავს, რომ მათი შენახვის ხარჯებს შემოსავალი ანაზღაურებს. ატომმავლებს ბევრი სამუშაო აქვთ და წლითიწლობით ფართოვდება მათი გამოყენების სფერო. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მიმდინარეობს ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის რაიონების აქტიური ათვისება და საჭირო ხდება იქ დიდძალი ტვირთის გადაზიდვა.

— **რა გავლენა მოახდინა ატომური ყინულმჭრელების შექმნამ სატრანსპორტო ფლოტის განვითარებაზე?**

— ჩრდილოეთის რაიონების ათვისების კვალობაზე სატრანსპორტო ფლოტი სულ უფრო გაუმჯობესდება. ძველი გემების ადგილს ახალი სრულყოფილი ხომალდები იკავებენ. დაიწყო ისეთი გემების მშენებლობა, რომლებიც გამოდგება ატომური ყინულმჭრელების წინამძღოლობით აქტიური ნაოსნობისათვის. ჩვენში უკვე მუშაობენ „კაპიტან პანფილოვის“ ტიპის ტრანსპორტები. ახალი სატრანსპორტო გემები უფრო მტკიცე, საიმედო და მძლავრი უნდა იყოს. რამდენადაც არქტიკაში ეკიპაჟი დაბალი ტემპერატურის პირობებში მუშაობს, რეისები კი თვეობით გრძელდება, გემი განსაკუთრებით კომფორტული და მოსახერხებელი უნდა იყოს როგორც ნაოსნობის, ისე დასვენებისათვის.

—**სად არიან ახლა ატომმავლები, რა სამუშაოს ასრულებენ?**

— „სიბირი“ და „არქტიკა“ გზაში გახლავან, „ლენინი“ კი დოკშია შესაკეთებლად. მაგრამ მალე ისიც ჩაუდგება სათავეში ქარავნებს მშობლიურ მურმანსკიდან, რომელსაც ეს ატომური ყინულმჭრელი ეკუთვნის. ტყუილად კი არ უწოდეს ჟურნალისტებმა ჩვენს ქალაქს ატომური ფლოტის დედაქალაქი...

სურათზე: ატომური ყინულმჭრელი „ლენინი“ ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში.
ს. მაისტერმანის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

ორი ჩემპიონატი

ქალთა 39-ე...

გუშინ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ტურნირზე დასვენების დღე იყო. დღეიდან იწყება ასპარეზობის ფინიში. დასკვნითი 5 ტურის წინ ჩემპიონატის მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

ლევიტინა	8,5 ქულა
ჩიბურდანიძე	8 (2)
ალექსანდრია	8 (1)
გაფრინდაშვილი	7,5
სემიონოვა	7
ზაიცევა	7
მინოგინა	6 (1)
ლიტინსკაია	5,5 (2)
სტუპინა	5,5 (1)
ბელავენეცი	5,5
მუჩნიკი	5,5
ფატალიბეკოვა	5 (1)
ახმილოვსკაია	4,5
კოზლოვსკაია	4 (1)
პოპივიდა	4 (1)
ვორონოვა	4
გრინფელდი	3,5 (2)
კობაიძე	2 (2)

(ფრჩხილებში ნაჩვენებია გადადებული პარტიები).

დღეს მეცამეტე ტურში ერთმანეთს ხვდებიან: ჩიბურდანიძე-ბელავენეცი, კობაიძე-ლევიტინა, ალექსანდრია-პოპივიდა, კოზლოვსკაია-გაფრინდაშვილი, ვორონოვა-გრინფელდი, ზაიცევა-ფატალიბეკოვა, ახმილოვსკაია-ლიტინსკაია, მუჩნიკი-სემიონოვა და სტუპინა-მინოგინა.

ვაჟთა 47-ე...

13 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებისას მკვეთრად გაუუარესდა მდგომარეობა კასპაროვს, რომელმაც წააგო ანიკაევთან. ეს ანიკაევის პირველი გამარჯვება იყო. ახლა ტურნირში მოგება არა აქვთ მხოლოდ ცეშკოვსკისა და რაშკოვსკის (ამ უკანასკნელმა ყველა პარტია ყაიმით დაამთავრა). რაშკოვსკი-ვაჰანიანი, დოლმატოვ-ტალი და რაზუვაევ-იუსუპოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. ცეშკოვსკი-გიორგაძის პარტია კვლავ გადაიდო.

13 ტურის შემდეგ 8,5 ქულით წინ არის გელერი. 8-8 ქულა აქვთ ბალაშოვსა და იუსუპოვს, 7 ქულა და 1 გადადებული პარტია — კუპრეიჩიკს, 7-7 ქულა — ტალს, კასპაროვსა და ბელიავსკის, 5 ქულა და 3 გადადებული პარტია — გიორგაძეს.

კრივი

მძიმეწონოსანთა რინგი

ერევანში ორი დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის მძიმე წონის მოკრივეთა ასპარეზობა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ტურნირის მონაწილე 12 ათლეტიდან უმრავლესობა ახალგაზრდაა. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძალზე თამამად იბრძვიან. ამის ყველაზე ჩინებული მაგალითი იყო 21 წლის ერევნელი ა. პოღოსიანისა და მოსკოველი ე. გორსტკოვის ორთაბრძოლა. ევროპის ორგზის და საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი მოსკოველი მოკრივე მეორე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: მ. ნიკიფოროვმა (უსტ-კამენსკი) მოუგო რ. კასპერს (ცელინოგრადი), ე. ბერეტიუკმა (მურმანსკი)—ვ. კოვალენკოს (კიევი), ა. ტირონმა (ვოლგოგრადი) — ვ. სკუბას (ალმა-ათა), მ. სუბოტინმა (მოსკოვი) — ფ. ალბოროვს (მოსკოვი).

ტურნირი ხვალ დამთავრდება.

ფეხბურთი

„დინამო“ არგენტინაში გაემგზავრება

ახალი 1980 წლის საფეხბურთო სეზონი ჩვეულებრივზე ადრე დაეწყებათ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს. იანვრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი გაემგზავრება არგენტინას, სადაც იგი ექვს ამხანაგურ შეხვედრას გამართავს ამ ქვეყნის სხვადასხვა საკლუბო გუნდებთან.

მსოფლიო ჩემპიონების ქვეყანაში ტურნე დაახლოებით ორ კვირას გაგრძელდება, მანამდე კი ქართველი ფეხბურთელები 5 იანვრიდან ლესელიძეში შეიკრიბებიან და ახალი სეზონისათვის მზადებას დაიწყებენ.

სატურნირო ორბიტა

ჰოკეი. გუშინ მოსკოვში გაიმართა გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტი მატჩი საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს შორის. საბჭოთა ჰოკეისტებმა ეს შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:2 და საპატიო პრიზსაც დაეუფლნენ.

პირველი ნაკრების თამაშის ფონზე უფერულად ასპარეზობს მეორე ნაკრები, რომელმაც ლეიკ-პლესიდში წინაოლიმპიურ ტურნირში ანგარიშით 2:4 წააგო შეხვედრა მასპინძლებთან — აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებთან. დარჩენილი ერთი ტურის მიუხედავად ამერიკელებმა ამთავითვე დაიკავეს პირველი ადგილი.

ხელბურთი. დორტმუნდში (გფრ) მიმდინარე „სუპერთასის“ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მხოლოდ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი ვაჟთა ეროვნული გუნდები მონაწილეობენ, შვედებმა დაამარცხეს რუმინელები — 20:19, იუგოსლავებმა კი ჩეხოსლოვაკიელები — 19:17.

მეორე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ხელბურთელებმა, რომლებმაც ამჯერად სძლიეს ჩეხოსლოვაკიელებს — 16:10. გაიმარჯვეს ტურნირის მასპინძლებმაც. მათ დაამარცხეს შვედები—25:12.

ჩოგბურთი. სან-ფრანცისკოში (აშშ) გაიმართა დევისის თასის გათამაშების ფინალური შეხვედრა მასპინძლებსა და იტალიელებს შორის. ამერიკელებმა (მაკინროი, გერულაიტისი, სმიტი, ლუტცი) მშრალი ანგარიშით — 5:0 გაიმარჯვეს და კიდევ ერთხელ მოიპოვეს საპატიო პრიზი „ვერცხლის სასალათე“.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ტელევიზია

22 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, (მ.), 09.40 — დოკუმენტური ფილმი „გორდეცკული ფერწერა“ (ქართულ ენაზე), (ფ.), 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა, 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — დოკუმენტური ფილმი „მხატვრის სამყარო“ (ქართულ ენაზე). (ფ.), 11.25 — „ვერნისაჟი“, 12.00 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.35 — ნორჩი მათემატიკოსები, 12.55 — მსოფლიოს მეათე ჩემპიონატის ფინალური მატჩი ფეხბურთში. არგენტინა-ჰოლანდია. პირველი ტაიმი (ფ.), 13.45 — დოკუმენტური ფილმი, 14.00 — როცა გაკვეთილი დამთავრდა, 14.15 — „დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რესპუბლიკური შეკრება“, მიძღვნილი საქართველოს კომკავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოებისადმი, 15.45 — „დღეს ენერგეტიკოსის დღეა“ (მ.), 16.00 — მსოფლიოს მე-10 ჩემპიონატის ფინალური მატჩი ფეხბურთში. არგენტინა-ჰოლანდია. მეორე ტაიმი და დამატებითი დრო (ფ.), 17.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.20 — დოკუმენტური ფილმი, 18.30 — კონცერტი, 19.40 — „ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!“ ახალციხის რაიონი, 19.45 — „მეცხრე სტუდია“ (მ.), 20.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონება“ (ფ.), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — დოკუმენტური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სპორტული პროგრამა. რიო-დე-ჟანეიროს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის შედეგები (მ.). „სპორტული კალეიდოსკოპი“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 16.30 — ბავშვებისათვის — გასართობი კინოპროგრამა, 17.10 — „წიგნიდან ეკრანზე“ — ე. ნინოშვილის დაბადებიდან 120-ე წლისთავის გამო, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საყვარელი როლი“, 19.10 — მხატვრული ფილმი „ცეცხლის მოთვინიერება“. მეორე სერია (ფ.).

თეატრი

22 დეკემბერი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ქეთო და კოტე** (27-ე აბონ. მე-7 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჩვენი თანამედროვე** (განახლებული დადგმა); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ძველი ვალსი**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ნოველები**; მინიატიურების სახელმწიფო — **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში**; კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნო — **დარაბებს მიღმა გაზაფხულია**; კონსერვატორიის მცირე დარბაზში — **კომპოზიტორ ა. შავერზაშვილის საავტორო კონცერტი.**

ინფორმაცია—79

● ვ. როზოვის „როჭოს ბუდე“—ა. გრიბოედოვის თეატრის სცენაზე; ● ნორჩ კინოხელოვანთა შემოქმედება; ● შეხვედრა ლენინგრადელ მუსიკის მოყვარულებთან.

საინტერესო როლი

თავისი მთავარი თემის — ადამიანთა ურთიერთობის კვლევისადმი ერთგულება კვლავ დაამტკიცა დრამატურგმა ვ. როზოვმა ახალ პიესაში „როჭოს ბუდე“. სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით დადგა თბილისის ა. გრიბოედოვის რუსული დრამატული თეატრის კოლექტივმა.

— ვიქტორ როზოვის ნაწარმოებმა ჩვენი ყურადღება მიიქცია ადამიანურობით, გულითადობით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს პრემიერის შემდეგ მთავარი როლის შემსრულებელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თ. ბელოუსოვამ, — პიესაში დასმული ზნეობრივ-ეთიკური პრობლემები ყველა დროის ადამიანებს აღელვებდა, მაგრამ დღეს ისინი ჩვენთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების აღზრდა ხომ სოციალისტური საზოგადოების საპროგრამო ამოცანაა. დიდი სიხარული მომანიჭა მუშაობამ სპექტაკლში, რომელიც მოგვითხრობს სიყვარულზე, ადამიანთა სწრაფვაზე — გაუგონ ერთმანეთს, დაინახონ ის საუკეთესო, რაც ყველა ჩვენგანში არის. ეს იყო არა მარტო მუშაობა ახალ როლზე, რომელზედაც ყოველთვის ოცნებობს ყველა მსახიობი, ეს იყო შეხვედრა ჩემს თანამედროვესთან, რომლის გვერდით ვცხოვრობ. ჩემი გმირი — ყოფილი ფრონტელი, ერთგული ცოლი და მოსიყვარულე დედა, რთული ბედის ადამიანია. მასთან ერთად მინდოდა ხმამაღლა, აღშფოთებით დამეგმო ბოროტება, ფარისევლობა, თვალთმაქცობა, განმედიდებინა ადამიანთა ურთიერთობის სილამაზე. ვფიქრობ, სწორედ ამ პრობლემებით დაინტერესებს ახალი სპექტაკლი იმათაც, ვისაც მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს, და ახალგაზრდობასაც, რომელსაც ყველაფერი წინა აქვს — შეცნობის სიხარული თუ განშორებისა და იმედის გაცრუების სიმწარე, — რაც ცხოვრებაში, სამწუხაროდ გარდუვალია.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ჩერქეზიშვილმა.

„როჭოს ბუდე“ ვ. როზოვის მეორე პიესაა, რომელიც ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა დადგა. რამდენიმე წლის წინათ ამავე სცენაზე უჩვენეს პიესა „სიხარულის მაძიებელი“, და მასშიც მთავარ როლს თ. ბელოუსოვა ასრულებდა.

პრემიერის საღამო

ასე შეიძლება ეწოდოს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ალექსი მაჭავარიანის საავტორო საღამოს, რომელიც ლენინგრადში გაიმართა. ამ კონცერტის პროგრამა ღირსეულად დაამგვირგვინეს ხელოვანის ახალმა ნაწარმოებებმა — პიესებმა საფორტეპიანო ციკლიდან „ქართული ფრესკები“, „ძველი თბილისის სურათები“, „ფიროსმანის შესანდობარი“, ორმა ახალმა რომანსმა, რომელთა პრემიერა ახლახან გაიმართა ნევისპირა ქალაქში.

და თუმცა ლენინგრადელ მსმენელთა ეს შეხვედრა ქართველ კომპოზიტორთან პირველი არ ყოფილა, მან მუსიკოსის ნიჭის ახალი წახნაგები აელვარა. ეს ცხადყვეს პროგრამაში წარმოდგენილმა ნაწარმოებებმა, რომლებშიც მუსიკოსი ხარკს უხდის ძველი ქალაქის კოლორიტს, უმღერის უსახელო ოსტატთა ნაწარმოებებს, სიყვარულით იგონებს ფიროსმანს და ამასთანავე ახმიანებს დღევანდელობის რიტმით ჩაგონებულ და მშობელი მიწა-წყლისადმი, მშრომელი კაცისადმი მიძღვნილ თხზულებებს.

საავტორო კონცერტზე შესრულდა აგრეთვე „ექვსი ქორო“, საფორტეპიანო ნაწარმოებები „ბაზალეთის ტბა“ და „ხორუმი“, სიმფონიური პოემა — რექვიემი, რომელიც მიეძღვნა სამამულო ომში დაღუპულ გმირებს, სავიოლინო კონცერტი, პიესები ბალეტ „ოტელოდან“, რომლებიც სხვადასხვა წლებში შეიქმნა. ისინი შეასრულეს ლენინგრადის რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

მსმენელებმა ღირსეულად შეაფასეს კომპოზიტორის ნაწარმოებები, რომლის შემოქმედებითი პროდუქტიულობა მართლაც რომ განსაცვიფრებელია; ამ ცოტა ხნის წინათ მან დაამთავრა მუშაობა ბალეტ „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკაზე და ჰანგების ენაზე აამღერა შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. ა. მაჭავარიანი მალე დაამთავრებს მუშაობას თანამედროვეისადმი მიძღვნილ ახალ სიმფონიაზე, წერს ნაწარმოებს სპეციალურად პოპულარული კამერული ანსამბლის — საქართველოს დამსახურებული სახელმწიფო კვარტეტისათვის. (საქინფორმი).

განსაკუთრებით ლამაზია აყვავებული ქაღალდის ხე. ამ იშვიათი მცენარის ეგზემპლარები არა მარტო ბათუმის ბოტანიკურ ბაღს, არამედ მახინჯაურის, ციხისძირის, ჩაქვის და სხვა კურორტების ბაღებსა და სკვერებს ამშვენებს.

სურათზე: მახინჯაურში დასასვენებლად ჩამოსული ტულელი ნ. პლატონოვა და ზუგდიდელი მ. გოლორდავა პირველად ხედავენ იშვიათი ქაღალდის მცენარის ყვავილობას.

გაგრა. ახლახან აქ ერთ-ერთი მაღლივი შენობის პირველ სართულზე გაიხსნა წიგნის ახალი მაღაზია „ბზიფი“. (სურათზე ქვემოთ).

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„პიონერფილმი“ 20 წლისაა

„**ყურადღება,** მოტორი თხუთმეტი, დუბლი 2“,— გაისმა წითელყელსახვევიანი გოგონას ხმა და კინოგადამღები კამერა ახმიანდა. ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩი კინომოყვარულების სახალხო სტუდიის წევრები თავიანთ მორიგ ფილმს იღებენ.

ეს სტუდია 1959 წელს შეიქმნა ჟურნალისტ გულბაათ აბულაშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ წელს გამოვიდა ფირმა „პიონერფილმის“ პირველი კინოლენტა — „ჩვენ მეგობრები ვართ“. შემდგომში კი ნორჩმა კინოდოკუმენტალისტებმა ფირზე აღბეჭდეს პიონერთა სასახლის ცხოვრების ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა.

— სტუდიის ყოველი წევრი, — ამბობს მისი ერთ-ერთი პირველი წევრი, ამჟამად ხელმძღვანელი გ. ჩიგოგიძე, — მსახიობიც არის და ოპერატორიც, მექანიკოსიც, სცენარისტიც და რეჟისორიც. ამრიგად ბავშვები აქ კინოს საქმის ჩვევებს გამოიმუშავებენ.

ნორჩი კინომოყვარულების სხვადასხვა თაობებმა ორმოცდაათამდე ქრონიკულ-დოკუმენტური და მხატვრული ფილმი შექმნეს, რომელთაგან ბევრმა სრულიად საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ჯილდოები დაიმსახურა.

წელს სრულიად საკავშირო კინოფესტივალზე „თბილისური აისი“, რომელშიც საზღვარგარეთის ქვეყნებიც მონაწილეობდნენ, ჟიურიმ გამარჯვებულთა რიცხვში „პიონერფილმის“ რამდენიმე ახალი ნამუშევარიც დაასახელა.

ნორჩი თაობის ესთეტიკური აღზრდის ამ კერას ცოტა ხნის წინ სახალხო სტუდიის საპატიო წოდება მიენიჭა. ეს ფაქტი „პიონერფილმის“ ოცი წლისთავს დაემთხვა.

ამ თარიღის აღსანიშნავად თბილისის კინოსახლში მოეწყო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნორჩი კინომოყვარულების სახალხო სტუდიის წევრთა შეხვედრა ქართველ კინემატოგრაფისტებთან.

საბავშვო სტუდიის წევრებს მიესალმნენ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, რეჟისორი ე. შენგელაია, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძიძიგური, რეჟისორები ლ. ღოღობერიძე, ნ. ნენოვა, კ. კერესელიძე.

ნორჩ კინომოყვარულებს გადასცეს საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელები.

სიახლე, ძიება

უალკოჰოლო ღვინო

ყურძნისა და ღვინის სიკეთე უხსოვარი დროიდან კარგად არის ცნობილი. ძველ ქართულ სამკურნალო წიგნებში ყურძნის პროდუქტები ჯანმომგვრელ საშუალებად არის მიჩნეული.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ღვინის შემადგენლობაში 300-ზე მეტი ნივთიერებაა. ესენია: ამინომჟავები, ორგანული მჟავები, ვიტამინები, ნახშირწყლები, მაკრო და მიკროელემენტები და ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი. მაგრამ იმის გამო, რომ ღვინო სპირტს შეიცავს, ხოლო სპირტი ადამიანის ჯანმრთელობაზე ხშირად მავნედ მოქმედებს, მას სამკურნალოდ ვერ იყენებენ.

და აი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტისა“ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოქიმიის კათედრის ერთობლივი გამოკვლევებით შეიქმნა საკონიაკე ღვინო-მასალის გადამუშავების ახალი ტექნოლოგია, რომლის დროსაც მიიღება უალკოჰოლო ღვინო, ანუ „ღვინისა“, როგორც მას მკვლევარებმა უწოდეს.

ამ ახალი ტექნოლოგიის ავტორები არიან „სამტრესტის“ მმართველის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. ზაუტაშვილი, ფარმაკოქიმიის კათედრის გამგე, პროფესორი ბ. ჰუმბურიძე, კათედრის ასისტენტი მ. ჯორჯიკია და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. სიაშვილი.

— **რას წარმოადგენს უალკოჰოლო ღვინო, რა გავლენას ახდენს იგი ადამიანის ჯანმრთელობაზე? — ამ კითხვით მივმართეთ „ღვინისას“ ტექნოლოგიის ერთ-ერთ ავტორს პროფესორ ბ. ჰუმბურიძეს.**

— როგორც ცნობილია, ყურძნის გადამუშავების არსებული ტექნოლოგიით დანაკარგი 35-40 პროცენტს შეადგენს, — გვითხრა მან, — აქედან დაახლოებით 15 პროცენტი საკონიაკე ღვინო-მასალის გამოხდის შედეგად დარჩენილი ბარდაა, იგი დღესდღეობით მთლიანად იღვრება.

საკონიაკე ღვინომასალის გადამუშავებისას სპირტის გამოხდასთან ერთად, რომელიც 100-105 გრადუსზე მიმდინარეობს, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების თერმული დაშლა-გარდაქმნაც ხდება. ჩვენ მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგიით პირველ ეტაპზე სპირტი გამოიხდება ვაკუუმ-აპარატებში გარკვეული წნევისა და ტემპერატურის პირობებში. ამ დროს ცალკე გამოიყოფა კონდიციური საკონიაკე სპირტი და მიიღება ალკოჰოლმოცილებული ღვინო, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ღვინის ქიმიური შემადგენლობა. მისი გამოყენება უკვე შეიძლება როგორც სამკურნალოდ, ასევე სხვადასხვა გამაგრილებელი და დიეტური სასმელების დასამზადებლად.

— **დღესდღეობით როგორია თქვენი კვლევის შედეგი?**

— „სამტრესტის“ მცხეთის ღვინის ქარხანაში განვახორციელეთ ექსპერიმენტების რამდენიმე სერია, მივიღეთ 10 ათასი ლიტრი უალკოჰოლო ღვინო, რომელიც გამოკვლევისათვის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრებსა და კლინიკებს გადაეცა.

საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტრომ, განსაკუთრებით მინისტრის პირველმა მოადგილემ თ. ჯაბადარმა კვლევის გაფართოებისა და დამუშავებული საკითხების მრეწველობაში დანერგვის დასაჩქარებლად სათანადო გადაწყვეტილება მიიღო.

უალკოჰოლო ღვინის სამკურნალო თვისებებზე და მისი გამოყენების პერსპექტივებზე ვესაუბრეთ ამ საქმის ერთ-ერთ ინიციატორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგეს პროფესორ ვ. ალადაშვილს. მისი ხელმძღვანელობით პირველად დაიწყო „ღვინისას“ კლინიკური შესწავლა.

— უალკოჰოლო ღვინო მეტად სასარგებლო პროდუქტია, — აღნიშნა მან, — მას შენარჩუნებული აქვს ყურძნის წვენის ბევრი თვისება, ოღონდ მასში არ არის შაქარი. როგორც კლინიკური გამოკვლევებით ირკვევა, იგი გამოიყენება კუჭის წვენის მჟავიანობის მოსამატებლად, სანაღვლე გზების დაავადებების სამკურნალოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ღვინისა“ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება. ამ მხრივ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით გამოკვლევები მიმდინარეობს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში.

მედიცინაში უალკოჰოლო ღვინის გამოყენების საკითხებზე საგანგებოდ იმსჯელა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭომ. თათბირზე აღინიშნა კვლევის პირველ ეტაპზე მიღწეული შედეგები. უალკოჰოლო ღვინის კლინიკური შესწავლა კვლავ გრძელდება.

ლ. ხუბულური.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07561 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.